„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№11 (203)
ნოემბერი
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

მესხეთ-ჯავახეთი

ედუარდ უგულავა

მესხეთის მიწას ვეხები მუხლით,
ამ საუკუნეს ვტოვებ დროებით,
წარსულ დღეებზე იწყებენ წუხილს
მინდვრები, სავსე ყაყაჩოებით.

ჩეხეს ვაზი და ვაზივით ჩეხეს,
მაინც გადარჩა უფლის წყალობით,
ვიშლები მხრებში და ვუცქერ მესხეთ-
ჯავახეთს – კერას ქრისტიანობის.

აქ მძაფრად იგრძნობს ქართველი კაცი
წარსულს, მღელვარე სისხლის მსვლელობით,
აი ვარძია, თავისი მკაცრი
და დიდებული მომნუსხველობით.

არა, ამაზე ფიქრიც კი შემშლის,
ან რა სახელი უნდა დაარქვა,
სურვილს, ამ ძალით შეზიდულს კლდეში
და გამოკვეთილს ზღაპრულ ქალაქად.

ნაცნობ ლეგენდებს კადრებად შეკრებს
გარდასულ დღეთა განცდის მსურველი,
ეს დროისაგან გაცრეცილ ფრესკებს
ასდით თამარის ლოცვის სურნელი.

შეგაკრთობს სევდა, ავსებულს ნატვრით,
დაგივლის სულში რაღაც ქართული,
სტკივა ვარძიას ღვთისმშობლის ხატი,
მკერდიდან უღვთოდ ამოშანთული.

მზერა მხურვალე განცდებში ავლებს
და სიამაყის ცეცხლში ანაზებს:
სამლოცველოებს, სენაკებს, მარნებს,
შორი ლანდებით სავსე დარბაზებს.

დღემდე იშუშებ ჭრილობებს, თუმცა,
მტერმა იმდენი სენი შეგყარა,
მაგრამ შენ მაინც ცოცხლობ და სუნთქავ
და კარგად გახსოვს, ჩემო ქვეყანავ!

როცა გტოვებდა რუსთველი მაშინ,
მზე რომ ცვიოდა ვარდის ფურცლებად,
როგორ მობრუნდა და ზღვისფერ თვალში
შენი სიშორე რომ აუცრემლდა.

მაგრამ არ გახსოვს, სურდი რა ძალით,
უცხოობისგან იმედგამოცლილს,
ან სად ჩაბერტყა ხორცი და ძვალი
კაცმა – შემქმნელმა „ვეფხისტყაოსნის“.

მაგრამ შენს წარსულს ვინც ჩირად არ თვლის,
ვის ჩუმ ღიმილსაც მშვიდად ითმენდი,
რომ გადაფურცლოს „ცხოვრება ქართლის“,
დაუსველდება სისხლში თითები.

შენ იცი გემო ცეცხლის და ფერფლის,
აუგი შენი ნეტა ვის ეთქმის?!
რადგან „ქრისტე ჯვარს ეცვა შენთვის და
შენაც ჯვარს ეცვი, რადგან ქრისტესთვის“!



„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მოგონებით უნდა ჰყოფდეს ,თუ მორთული ერობა ჰყავს და ვგრეც არის, საკა ერი ერობს“

ილია

ნუგზარ ბერაძე

„მე დასაბამი არ მახსოვს ჩემი და არასოდეს აღვესრულები“.

გოეთე

ისასტოლიობის ისაწყლობა

ანუ გვიხროდენ, ბატონებო, გვიხროდენ!





მთავარია, არსებობდეს კითხვა და პასუხი ყოველთვის არსებობსო. ძალიან საინტერესო პოსტულატია, მაგრამ, მაინც, მთლად ასე მარტივად არ უნდა იყოს საქმე. კითხვაც არის და კითხვაც. რასაც მიწიერ, ადამიანურ გონებას შეუძლია მისწვდეს, ასეთ კითხვაზე თუ ვიმსჯელებთ, მართლაც, ყოველთვის იარსებებს პასუხი; უკიდურეს შემთხვევაში, უარყოფითი მაინც. მაგრამ, თუ ირაციონალურ, ღვთაებრივ, ან სატანურ აზროვნებაშია საქმე, აქ სულ სხვა პერიმეტრები არსებობს და ყველაზე დახვეწილ ინტელექტუალსაც კი გააოგნებს, დაამუნჯებს კითხვა, რომელსაც დაუსვამენ. ჩვენ ისიც კი არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენად მარტივი იქნება ამ კითხვის არსი, თორემ, თავად კითხვა ხომ უცნობია და გონებამიუწვდომელი. ადამიანი, მეტადრე, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, კოსმოსიდან იმპულსების სახით ღებულობს იმ ქვეცნობიერ ინფორმაციას, რასაც შემდგომ თავისი განათლების ხარისხის მიხედვით ტვინს ქურაში გადაადნობს და ცნობიერს ხდის, მისაწვდომს, ხელშესახებს, აღსაქმელს, როგორც თავისთვის, ასევე ყველაზე მასობრივი შემმეცნებლისთვის. ამიტომაც არეალი პუბლიკისა, მით უფრო დიდია, რაც უფრო ნიჭიერია ამ პუბლიკის მაესტრო. მაგრამ, აქაც უნდა დავუშვათ ნონსენსი. არსებობს აზროვნების ისეთი მასშტაბები, როცა პუბლიკას აღარ, ან ველარ შეუძლია თავი გაართვას მიწვდილ ინფორმაციას და შემოქმედი სულ მარტო რჩება, სულ ეული და მიუსაფარი ხდება კაცთაგან. აი, რატომ დადგა სულიერების კრიზისი. მატერიალური, გასტრონომიული მოთხოვნილებების – ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი მეცნიერებების ზრდამ, უკანა პლანზე გადაიყვანა ჯერ თეოლოგიური და ფილოსოფიური, შემდგომ, ზნეობრივ-ესთეტიკური მეცნიერებანი, რასაც ხელოვნების დეგრადაციაც მოჰყვა, გაფეტიშება იწყო პრიმიტივიზმმა, აზროვნებამ სამზარეულოდან საპირფარეშომდე არსებობის დონეზე.

ამან შექმნა მარქსიზმი და თითქმის ყოველგვარი „იზმი“ და „ისტი“, რაც ასე ავბედითად დააჩნდა კაცობრიობის აცრილ მკლავს. ასეთ ეპოქებში, ძალიან ძნელად ასახსნელი ფენომენის გამო, იბადებოდნენ გენიოსები და შეახსენებდნენ ჰომო ჰაბიტუსს, რომ, ის სამყაროს გვირგვინია, სახე და ხატი ღმრთისა. თუ გენიოსი ადამიანები რჩებოდნენ უყურადღებოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კაცთა მოდგმას ერთგვარად ეუხერხულებოდა. დავუშვათ და კიდეც ახსნადი სიბრძნე მისგან მიუწვდომელია, რა დაემართებოდა ღმერთს? ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კეთილი მამა მიტოვებული გახდა ყველასაგან და მისი დევნილობის ხანა, ბარე ოთხასი წლით ადრე, იწინასწარმეტყველა დიდმა ტრაგიკოსმა და დაგვიხატა მეფე ლირი, ბევრისთვის უმწეო მოხუცის სახით დანახული, მაგრამ, ერთეულთათვის, მისი შვილების უმადურებით ატირებული ღმერთის პორტრეტი.

რამ განაპირობა ლირში უმწეობის დანახვა და არა სრულყოფილების აღმოჩენა?

ისევ და ისევ პოზიორობამ კაცისამ, ებრალებოდეს ის, ვისაც თავად უარყოფს და ამით მოიხსნას უხერხულობა, დისკომფორტი თავისგან რაციონალიზმის ერთადერთ ჭეშმარიტებად აღიარების გამო.

ამან შექმნა მეტაფორული აზროვნების უცილობლობა. ინფორმაცია ადამიანს ისე უნდა მისწოდებოდა, რომ მას, ე.ი. კაცობრიობას გულისყური არ დაეხშო და აზრის თვალი არ დაეხუჭა ამ ინფორმაციის მიღებისას.

ასეთი მეტაფორის უბრწყინვალესი მაგალითი ქართველი პოეტების მეფემ მოგვცა ამ საუკუნის დასაწყისში, ლექსით „მერი“.

„ქარი და წვიმის წვეთები წვრილი,
წყდებოდა, როგორც მწყდებოდა
გული
და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი,
ლირი ყველასგან მიტოვებული.“

მერი რომ იგივე მარიამია, მგონი ამაზე დავა უხერხულია. და იგი ჯვარს იწერს. გალაკტიონი მეფე ლირივით მიატოვა ყველამ. ლირი – ღმერთის სიმბოლო გალაკტიონმა ისე გაითავისა, რომ პოეტში შემოქმედი მამა ყოვლისა არსისა ატირდა. რაც ბუნების სტიქიათა საპროტესტო აქტს იწვევს ქარწვიმის სახით.

პარადოქსია, რომ ღმერთი ტირის, ნონსენსში გადადის. ე.ი. ღმერთი ტირის მარიამის ჯვრისწერისას, ალბათ ამ უდიდეს ხელოვნებით ნაქანდაკარ ძეგლს ჩვენი ბლაგვი საჭრეთლით, თუ ამასაც საჭრეთელი ჰქვია. ეს ცოდვის კითხვა დღეს და გუშინ არ დაწყებულა, არც ხვალ და ზეგ დამთავრდება. მას დიდი გზა აქვს გამოვლილი და მანამ გაგრძელდება, სანამ გენიალურ ქმნილებას ღმერთში სრული რწმენით განწმენდილი გულით და გონებით არ აღვიქვამთ. მანამდე კი ასე ვირეშმაკობით საკუთარი უვიცობის მოსეული ნიღბით დასაფარავად და ამ ფართი-ფურთით უფრო ღრმად შევტოპავთ მალარიის ბუღეში.

ამიტომაც გვჭირს ეს გაუთავებელი ციებ-ცხელება შეჯიბრისა, როგორმე ყველას ვაჯობოთ სიგლახეში და ეს სიგლახე უდიდეს სიქველედ დავამკვიდროთ.

„შური არს მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“,. – 33 წლით ადრე ქრისტეს ჯვარცმამდე, ამავდროს, 2000 წლის შემდეგ.

მეტაფორული აზროვნება კულმინაციას აღწევს. იგი დროსა და სივრცეში უსაზღვროდ და უკიდეგანოდ ეფინება ყველაფერს. როგორ ხდება ეს? - აი კითხვა. პასუხი ერთად-ერთია: უფლის ნებით, უფლისა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მისმიერითა...“ იგი კოსმიური იმპულსებით აწვდის გენიალურ პოეტს ღვთაებრივი აზრის კოდს და ლექსად გარდააქმნევინებს მას.

ამიტომაც აღაფრთოვანებს მკითხველს ნიცშესეული „ზარატუსტრა“ – ღმერთი მოკვდა, გაუმარჯოს ზეკაცს! ეს ხომ ჩვენი პრიმიტიული აზროვნებისთვის ყველაზე მოხერხებული მდგომარეობაა. სიტუაცია, როცა ჭაობში ხარ ჩაფლული და თავი „ადგილსა მწვანილოვანსა“ გგონია. ქართული ხალხური პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუში ზედგამოჭრილია ამაზე:

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი,
შინ მიტანილი ჰგონია.“

ვწევართ და ვიცოხნით ჩვენთვის შედარებით ადვილად მოსანელებელს, დიდი სიბრძნე კი ურემზე გვიდევს და მის შინ მიტანას, მგონი, არც ვაპირებთ. რომც დავაპიროთ კიდეც, ისე ღრმად ვართ ჩაფლული, იქნებ ვეღარც შევძლოთ, თუ არა ისევ ღვთის ნებით, რომელიც ჯერ მივატოვეთ, – „მეფე ლირი, შემდეგ კი მოვკალით „ზარატუსტრა“. ან გვგონია, რომ ბოლომდე ვერ მოვუთავეთ ხელი და საბედისწეროდ ვეურჩებით – (ანატოლ ფრანსის „ანგელოსების აჯანყება“). აი, რა გვიშლის ხელს კაცის პირით და ენით ნათქვამი შემოქმედის აზრის გაგებაში. აი, რატომ ხდება ხშირად აუხსნელი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ნათლად გამოთქმული სტროფები და რატომ ვჩორკნით ამ უდიდეს ხელოვნებით ნაქანდაკარ ძეგლს ჩვენი ბლაგვი საჭრეთლით, თუ ამასაც საჭრეთელი ჰქვია. ეს ცოდვის კითხვა დღეს და გუშინ არ დაწყებულა, არც ხვალ და ზეგ დამთავრდება. მას

სიმბოლოა, ამას ჯერ „ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის და მერმედ, ამ „ვეფხთან“ მებრძოლი ზვიად გამსახურდია, თავის უბადლო წიგნით, სახელად „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ რომ ჰქვიან.

ზვიადმაც თავი შეაკლა ამ „ვეფხთან“ ბრძოლას და ასე დათრგუნა სიკვდილითა სიკვდილი.

აი, ეს უნდა გახდეს მაგალითი ქართველი ერის მომავლისა!

აკი, გასამდა კიდეც იგი ამ საუკუნეში ილიას, მერაბის და ზვიადის სახით. თუ, ახლაც ვერაფერი ვისწავლეთ, მართლაც ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე და იქნებ აღარც ღირდეს ისეთი ერის არსებობით დამძიმდეს ეს ბებრუხანა დედამინა, რომელიც, ან, „არარაის არგებს სოფელსა“, ან, „იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ჩვენი ერის მისტერიული მეტამორფოზა სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ზღვა ენერგია გვაქვს. გადარჩენის უკიდეგანო ველზე ვდგავართ. ერთი, ეგ არის, რომ ამ ენერგიას უარყოფითი მუხტებიდან გამონთავისუფლება სჭირდება, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ქვეყნის სათავეში მოვიდა ბრბო, რომელსაც მჭადში ნახშირის გამორჩევა უჭირს და ვით გამოარჩევს ღვარძლს თავთუხიდან? ევროპეიზმისა და ამერიკანიზმისკენ ლტოლვა დუხჭირი გონების ნაყოფია. დიახაც, რომ მართებულად მოგვიწოდებდა ვახტანგ კოტეტიშვილი – "მოვბრუნდეთ აზიისკენო"!

აზია – დიდი რელიგიების და ჭეშმარიტი სარწმუნოების მშობელი, ევროპა – ამ სარწმუნოების არსში განხეთქილების შემტანი და მწვალებლური სექტების წარმომქმნელი ინტრიგანი. ევროპულმა რაციონალიზმმა თავისი წარმოდგენით მოჰკლა ღმერთი და ახლა მისი კვართის განყოფაზეა თავისივე მეგობარ ამერიკელ მოროდიორთან. თუ დააკვირდებით ამ სიტყვას, ქართული შესატყვისიც კი არ აქვს და რა საერთო გვაკავშირებს მის მესვეურებთან? აზიისკენ მობრუნება ცივილიზაციაზე უარი კი არა, ამ ცივილიზაციის გადარჩენის საშუალებად მიგვაჩნია. აზიისკენ მობრუნება კულტურისკენ მობრუნებაა, კულტურისკენ მობრუნება კი კაცობრიობის ერთადერთი ხსნაა. რა უნდა მოგვცენ ვიკინგებმა, ნორმანებმა და გოთებმა იმის ბადალი, რაც, თუნდაც, ირანულ - სპარსულ პოეზიაშია? რომელი „მერსედესი“ და „სიტროენი“ გადაჯაბნის, ქრისტიანობას რომ თავი ვანებოთ, თუნდაც, კრიშნას მოძღვრებას? ან იოგას ფილოსოფიურ მედიტაციებს? ხოლო, რაც შეეხება ქართულ მენტალიტეტს და ამ მენტალიტეტის დამამკვიდრებელ კულტურას, დროა, ვიღაც-ვიღაცებმა გაითავისონ, რომ ჩვენ ევროპიელები იმიტომ კი არ გავხდით, რომ მათ მიგვიღეს, არამედ, იმიტომ, რომ, თუ რამ კარგი არსებობს ევროპაში, აზიიდან გადმოგვქონდა, საკუთარი შემეცნების ფილტრში ვატარებდით და ასე ვდონორობდით ამ ახალგაზრდა ფრანტს. საქართველომ მთელი ორი საუკუნით ადრე დაიწყო რენესანსი, ვიდრე იტალიელებს ჰგონიათ და რომ არ ყოფილიყო საქართველო, ეს რენესანსი ემბრიონშივე მოკვდებოდა მონგოლთა ხელში. ეს, ის დროა, როცა კათოლიკურ საქრისტიანოში ინკვიზიციის კოცონი ბრიალებს, ხოლო, მისი სატახტოების სასახლეთა ლაბირინთებიდან გამოსაკვლევი „არიადნას ძაფის“ ბოლოები დედოფლების და იმპერატრიცების სარეცელზეა მიბმული. ლუვრის დერეფნების კუნჭულებში გალეშილი რაინდები საკუთარ ნათხევარში გორაობენ. სრულიად საქართველოს დედა თამარი კი თანამეცხედრეს უცხადებს: „მე ქვეყანას მივეც ორი შვილი, ვაჟი და ქალი, დღეიდან ჩემი ლოგინი წმინდა უნდა იყოსო“ და ამას სჩადის სრულიად ახალგაზრდა ქალი, უთვალსაჩინოესი ვაჟაცის მეუღლე და უბედნიერესი მეფე.

რუსთაველი გვასწავლის: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“. მწირი ისტორიის მქონე ერები ცოტა მეტ მოწიწებას უნდა გრძნობდნ ე ნ ჩვენი ქვეყნის მიმართ, მაგრამ რად იგრძნობენ, როცა ჩვენ თავად ვუბიძგებთ თავხედობისკენ? განა არ ღირს დაფიქრებად ეს ყოველივე?

დავფიქრდეთ, ბატონებო! ქვეყანა თავზე გვექცევა, დავფიქრდეთ! რა გადაგვარჩენს? – აი, კითხვა. პასუხს მოელის საქართველო, პასუხს!...

და რომ პასუხს მოელის და ამ პასუხის მოლოდინში, აგერ, რატომ ხუთასი და, განსაკუთრებით, ბოლო ორასი წელი გასულა... და, რომ, ამ პასუხზე არა მარტო მასშტაბურად ქვეყნის, არამედ, თითოეული ჩვენთაგანის ბედია დამოკიდებული, ამის შესახებ, ერთის შეხედვით, სრულიად უბრალოდ, იქნებ, ვინმეს მოეჩვენოს, რომ საბავშვო პატარა ხალხური ლექსიც მიგვანიშნებს:

„მგელმა თქვა: ქორწილს ვაპირებ,
ღვინო ჩავასხი ნასეტყვი,
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ,
ბატკანს მომცემს,
თუ კრავს მეტყვის,
არ მომცემს? – ძალით წავართმევ,
თუ იტირებს და, ბანს ვეტყვი“.

განსაცვიფრებელია, თუ მეტი არა, ტრაგედიის ისე კომიკურად გადმოცემის უნარი, როგორც ამ სტრიქონებშია. სატანა – მგელი ქორწილს აპირებს. ე. ი. მოვალს ანტიქრისტე. ქრისტეს მოსვლა თუ ლხინი და ქორწილია, სიძის მოსვლაა, ანტიქრისტესაც გაუჩნდა ასეთი სურვილი. მოსამზადებელი პერიოდი გავლილია. ღვინო ჩაუსხავს ნასეტყვი, ე. ი. წინ-წინ ქვეყნის გაპარტახების აქტი შემდგარა. ეხლა კი მწყემსთან მიდის, დახეთ თავხედობას? მაცხოვარს უნდა შეჰბედოს სული უმანკოთა. არ მისცემს და ძალით წაართმევს. იტირებს მამა დაკარგულ შვილს და მგლის – სატანის ირონიას დააკვირდით! – „თუ იტირებს და, ბანს ვეტყვი“-ო.

ხედავთ, სადამდე მისულა საქმე? ხედავთ, რას გვემუქრება? ამიტომ უნდა შემოვკრბეთ დედაეკლესიას! ამიტომ უნდა გავერთიანდეთ ერთ და ჭეშმარიტ ღმერთში! თითქოს ჩვენს მდგომარეობაზეა ეს შაირი. ერთი შეხედვით, სახუმაროდ, სალაღობოდ ნათქვამი გეგონებათ. აი, სისადავე, აი, ოსტატობა. აქ ზედაპირულად, მარტო ნონსენი და ნონსენსის კომიკურობა იქცევს ყურადღებას. მთელი სისავსით კი მეტაფორაა. ლექსი – მეტაფორა. მეტაფორა – ლექსში.

აი, ასე შეფარვით, ძალდაუტანებლად გვასწავლიდა სიბრძნეს ჩვენი ღვთაებრივი წინაპარი, უმარტივესი შაირის სახითაც კი. ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, რა სიღრმეებს აღწევს „ვეფხისტყაოსანი“, ოღონდ, მის დანახვას ნამდვილად დიდი განათლება და, ასევე, დიდი რწმენა სჭირდება

„ვეფხისტყაოსანი“ უსასრულოდ და უსაწყისოდ დიდი ჭეშმარიტებაა, უსასრულოდ და ამ უსასრულობის უსაწყისოდ დიდი სიბრძნის სიტყვა, რომელიც იყო პირველ და იგი იყო ღმერთი და იგი იყო ღმერთთან.

გვფარავდეთ ღმერთი!
ამინ!

ნუგზარ ბერაძე (ლილინო ცახური)....

დაიბადა 1955 წლის 5 დეკემბერს – აღესრულა 2002 წლის 14 დეკემბერს... ითქმის, რომ წელს სამოცი წლის გახდებოდა? დაიბადა – პირნათლად აღასრულა (მოიხადა არა) ადამიანის ადამიანობის უმთავრესი და ერთადერთი არსი – ვალი და აღესრულა...

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, ეს ანდერძი დამიტოვა მეც და... რაც მთავარია, ადამიანებს – თუნდაც, როგორ უნდა გადახვიდე...

უდიდესი მოაზროვნე შემოქმედი... აი, ნახეთ:

„ავდექი ძმებო, ნამდვილად დროა,
სხვა რომ არ იყოს, მელიან აწი,
ადამიანი, მიწაზე ბრბოა,
მერე, ზეცაში იწყება კაცი"!..

მანამდე კი:

"... შენ ჯერ არ იცი, ჩემო სამშობლოვ,
რა შვილს კარგავ და როგორ მექცევი,
მაგრამ, ძვირფასო, ღმერთმა გაშოროს,
მელანქოლია ჩემი ლექსების"...

ნუგზარს დაფასება არ სჭირდება. ეს, ჩვენ გვჭირდება – ადამიანებს ადამიანობისკენ მიმავალ გზაზე, კარგად შევიმეცნოთ ის, რაც მან „ერთ აგურად“ დატოვა და, ვინძლო, „მეორე აგურს“, ყველა თავის წილ „ერთ აგურად“ უფრო ადვილად დავდებთ და სულის ეკლესიაც აშენდება...

რამაზ ბერაძე

ეკა ქურხული

დედო–ზარი

„ადამისა და ევას დაცემის შემდეგ ყოველი ადამიანის გულზე გაყოფის ბზარია, რამეთუ მარად მიმდინარეობს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის“.

ილია მეორე

არ არის გვიან სინანული, არ არის გვიან, –
სათნოებით და სიყვარულით თუ აინთები.
„ნუ დაუყრიო“ – მარიგებდი,
– ტალახში ყრია,
გალილეველო, გათელილი მარგალიტები.
გრაალის თასი დანთხეული შენი სისხლია,
სულის სიწმინდის გადამრჩენი
აღქმა-მცნებები...
გვედრი, ერესის გზა ჩახერგე,
ტაძარ-ბიბლიას
მაზიარე და ამოტვიფრე „ნაზარეველი“.
გულის ნაბზარზე
დედო-ზარად,
ცოდვილ ქრისტიანს!

დელგმა

ნუ გეყვარები, საალერსოდ ნუ გენდომები...
თუ უბრძანებლებ, ამაღამაც,
ტრფობის ქარბუქებს,
ქარაგმულად თუ ჩაგაღიმებს ჩემი
„ომები“, –
ნუ გამაღვიძებ! – ფერადს მაინც
ნუ ჩაამუქებ
სიზმარს, უფერო რეალობით,
მრუმე დოგმებით...
დაგმანულ სადარდს კვლავ გავანდობ,
დღესაც, ბამბუკებს, –
საოცარია, მათ და არც მე,
ახლა ეს დელგმა
ზეცისკენ მზერას ვერ გვიკრძალავს,
ელავს და უკვე
უკანასკნელი გრადაციით ვბრუნდები
შენთან.
...
ნუ გამაღვიძებ!..

ვარძია

თუკი განდევნე ედემიდან მოდგმა ადამის,
ღმერთო, მესხეთის წარმტაც მიწას აბა,
რა ჰქვია?!
შენს სადიდებელ ფსალმუნს გალობს
ტაძართ-ლაშქარი,
ქართული გენის დიადემად ბრწყინავს
ვარძია!

ირმა მალაციძე

წვ მესხეთის თავზე

ფოკის გზები, ნისლიანი გზები,
ხავსიანი ბანები და ერდო,
შეჰბღავლებენ მწვანე ველებს ცხვრები,
ამ სიტურფეს როგორ არ მივენდო.
ფარავანში ჩაღვენთილი ოქრო –
ტბის სიღრმეში ჩაძირული მზე,
ფეხქვეშ ფეთქვას, როცა იგრძნობ, მაშინ
უნდა მიხვდე – სამცხის გული ძგერს.
ამაყი და დიდებული მზერით
გადაჰყურებს მთებს ვეებას ზარზმა,
მაინც ყველას ერთი ბოლო უჩანს,
სადაც წავალ – იმ გზასა და ამ გზას.
ნიალის ველს მიუყვება ზლაზვნით
ქარავანი – ქარვის მძივია,
ისე ფხიზლობს თმოგვის ციხე, თითქოს,
არასოდეს დაუძინია!
ვინ თქვა, თითქოს არ სუნთქავენ ქვები,
არ სჭირდებათ ჟანგბადი და ცა?
მაშ კუმურდო, უგუმბათოდ როგორ
დაიპკურებს დილის ნამს და ცვარს?!
გარიჟრაჟი თავშანთაფას მთაზე
ეფინება ირგვლივ ნისლის ფარდად,
სად იხილავ სხვაგან ასეთ კეკლუც
თავმომწონე ლეილსა და სალდას.
სად იპოვი სხვაგან ასეთ ზეცას,
დაისს ასეთს, ან გათენებას,
ამ ზეცის ქვეშ მტერს უთვლიდა წუთებს
კედლის მკერდით ქორსატეველა.
ფოკის გზები, ნისლიანი გზები,
ხავსიანი ბანები და ერდო,
შეჰბღავლებენ მწვანე ველებს ცხვრები,
აბა, ამას როგორ არ მივენდო?!

ავთანდილ ივანიძე

რა დროს ძილია!

სულ წინაპართა ხმები ჩამესმის,
რაღაც მაწუხებს, თუმცა... მხნედ კი ვარ,
რა უნდა მჭირდეს დღეს უარესი, –
მე საქართველოს ჭრილობა მტკივა.
ძილს რომ ვაპირებ, წარმომიდგება
ხელაწეული დიდი ილია,
და მმოძღვრავს – „როცა
სამშობლოს უჭირს,
როცა ერს უჭირს, რა დროს ძილია“!
აღმაშენებელს რომ წარმოვიდგენ,
მასმენს – „ბრძოლის დროს მხოლოდ
შეტევა,
ასე სიმშვიდით და წაყრუებით...
იცი? ქვეყანა არ აშენდება“!
წინაპართა ხმა მაფრთხილებს ცოდვილს,
უნიათობას მაყვედრის თითქოს,
ამხედრებული თამარი მოდის
და შემახსენებს შამქორს და დიდგორს.
სულ წინაპართა ხმები ჩამესმის,
რაღაც მაწუხებს, თუმცა... მხნედ კი ვარ,
რა უნდა მჭირდეს დღეს უარესი, –
მე საქართველოს ტკივილი მტკივა!

***

რა საამოა, როცა ტკბილი ოცნება
გიპყრობს,
დაისადგურებს შენში ვრცელი გრძნობათა
ღელვა,
ფიქრში ააგებ ზღაპრულ ედემს,
გგონია თითქოს,
ეს მოჩვენება სინამდვილედ გარგუნა ბედმა.

მაგრამ ზმანება ელვასავით გაქრება
სადღაც,
რადგან წუთიერ აღმაფრენას ბედი
არ სწყალობს, –
გულში კი მაინც, უჩვეულოდ
შეიგრძნობ დაღლას
და მოჩვენებებს მოკრძალებით
უგზავნი ამბორს.
თუ აგვიცხადდა, გავინაღდეთ
ყველა სურვილი,
უმალ სხეულში მარტოობის
გრძნობა იელვებს,
სადაც არ არის მიუწვდომის
წვდომის სურვილი
იქ წყვდიადია, წყვდიადი და სიცარიელე.

სამშობლოვ ჩემო

ვეთაყვანები შენს ბაღს და ვენახს,
მწვანე ჭალაში – ბალახებს ცვრიანს:
სემირამიდას ბაღების ხელას
მონად ყოფნა რომ არ შეგიძლია.
შენთან იქრობდა სტუმარი სევდას
და უმართლებდა ბედი მოლოდინს, –
აქ, ქართველ ტურფებს თაყვანსა სცემდა
გრიბოედოვი და ლერმონტოვი.
არ იკარებდა ზრახვებს ბოროტთა,
როგორც ითხოვდა ქართველთ ადათი, –
მაიაკოვსკი სადაც ცხოვრობდა,
ყველგან ახსოვდა ზეცა ბაღდათის.
როგორც არ უნდა მადლი გეთესა,
იყო მტერიც და ბრძოლა ფიცხელი,
მაგრამ სტუმართან და მოკეთესთან
სათაყვანები ხარ მასპინძელი.
მაგრამ, არ ვიცი ხვალ რა იქნება,
ვერ განვსჯი, თუნდაც ვიყო ეზოპე,
მჯერა კი... თვალი აეხილება,
გადამთიელს და გვერდით მეზობელს.

გვიანი შემოდგომის სურათი

უკვე აცივდა, ნოემბრის დილით
გაოცებული დავალ ნანახით,
ცრიატ ნათელზე მბზინავი რთვილით
მოვერცხლილია მწვანე ბალახი.
ძილს მიეცემა ბაღი ედემის,
ბუნების არის ეს იდილია...
და ჩამომდნარი ჭირხლის წვეთებით
ხეები ზაფხულს, მზეს მისტირიან.
თითქოს ჯერ არ ვარ მე აქ ნამყოფი,
და არ მინახავს მსგავსი სტიქია...
ხეზე შერჩენილ დამჭკნარ ნაყოფით
ხვავის, ბარაქის ჩანს რელიქვია.
მწვერვალებზე თოვს, მაგრამ ჭაღარა
როდი აბერებს ამ მთებს, გოლიათს,
ფიქრმა წარსულზე რატომ დამღალა
და შემაწუხა მელანქოლიამ?
ვბერდები? გულო, არ უნდა თრთოდე,
მე ახლა ბაღის კიდეზე ვზივარ...
ქარმა დაქროლა და ყვითელ ტოტებს
უკანასკნელი ფოთლები სცვივა.
არ გაუღია ჯერ ზამთარს კარი,
ფერი შესცვლია ბარსა და ზეგანს
და შემოდგომის ძლიერი ქარი
ქუჩაში ყვითელ ფოთლებთან ცეკვავს.

დე, იყოს ასე

ყოვლის შემძლეა, ყოვლის შემძლე,
უფალს დიდება!
თაფლის სანთელი რომ ჩამოქნა
შენს თლილ თითებად,
რომ სახე მოგცა ნეფერტიტის, –
ნუკრის თვალები...
რამაც მე ტყვედ მქნა, რასაც ვმონებ
და ვეწამები.
მშვენიერი ხარ, უნაზესი,
როგორც დიანა...
ის დაიტანჯა, ვინც შეყოვნდა,
დაიგვიანა.
სიყვარულია
უმთავრესი,
კაცის ქონება,
ცეცხლს შენ მიკიდებ, შენ გმორჩილებს
ჩემი გონება.
თუმცა... რომ იყოს ტრფობით თრობა
და თავდადება,
მე გამწირავენ, ყველა ცოდვა
მე დამბრალდება.
დე, იყოს ასე, შემეყაროს
გრძნობა შანთებად,
ოღონდ, შენ, სრულქმნილს,
ნურაფერი დაგიშავდება!

ექპრომტი

(ვარძიაში „შოთაობაზე“)

გამოვიდა ქალი ლერწამტანისა
და ნაზ მხრებზე მუზის ღმერთი დაისვა.
რომ სცენაზე დგას სიცოცხლის ხალისად,
მზის სხივია, თუ ნატეხი მთვარისა.
მოფარფატე, ნაზი, თეთრი თოლია,
ვარძიისკენ ნიავს გამოჰყოლია.
მეჩვენება, თუ ცხადია, ნამდვილი,
თავს უმშვენებს თამარ მეფის მანდილი.
თითქოს წყაროს მთის ბროლიდან ედინოს,
ლექსს კითხულობს საღარაძე ელდინო!

მურმან თავდიშვილი

მეზღვაური

ედიშერ სარჯველაძეს, ზღვაოსანს

სანაპიროზე ქვიშას ახურებს
მზე და ბალღს დასდევს დედა შორტებში;
ვდგავარ და ჩუმი სევდით გავყურებ
სივრცეს, ჩაკარგულს ჰორიზონტებში.

ზღვა ღელავს. ღელვით სავსეა გული,
შეერთდა ზღვის და გულის ჩივილი;
და გამახსენდი ზღვად დაკარგული
და შევიგრძენი შენი ტკივილი.

დაიგრგვინებს და ცა უსახური
მეზღვაურს გესვრის თათმანს ვამპირის;
ძნელია იყო გემის მსახური,
უფრო ძნელია ხილვა ნაპირის.

ხან მზეა – დაგდის ოფლი ალხადა,
ხან ქარ-შხაპის დგას აურზაური;
ამ წამს შევიგრძენ, თუ რამ გახადა
ჩვენი სულები ნათესაური!

და ებრძვის კედლებს ტალღა მძვინვარე;
წვიმის ღვართქაფი, ქარი აფთრული
და მე არ ვიცი, ზღვაში ვინ არი:
შენ ხარ თუ მე ვარ გადახაფრული?

ნაპირს მომწყდარი მეც ხომ ზღვაში ვარ
და ვეღარ მშველის მზე – დიდებული;
მეც ბეწვის ხიდზე ისე გავდივარ,
როგორც ზღვის ჯურღმულს შეჭიდებული!

და ჩემი თვალიც ეძებს ნაპირებს,
სადაც ოდესღაც სიყრმე დავტოვე;
მერმე მეც სევდა გამინაპირებს,
გულის ვარამი და სიმარტოვე.

აჰა, ნაპირიც! ჩავუშვი ღუზა,
თითქოს მოვედი, მამა სად არი?
სად არის დედა, ბიძა – იუზა,
სად არის ცოლი – მზის შესადარი?

ზღვის დასაძლევად, საყურმუსაღოდ
წასვლისას სევდა წამყვა პაუზად –
მშობლები, ცოლი დავტოვე საღად,
მაგრამ ძმა მეწვა სასაფლაოზე.

ნუთუ ამ დარტყმას, ღმერთო, ავიტან?
ამას იობიც გაიოცებდა:
ცოცხლად დავტოვე, დამხვდა მკვდარი და,
აბა, მკვდარს ვინღა გამიცოცხლებდა?!

ჰე, მეზღვაურო, იმედი გენდო,
შენც გაქვს იმედი, ხარობ იმ ერთით;
მე ნაპირს გაველ, ვარ უიმედოდ,
შენ ზღვაში ხარ და კვდები იმედით.

უშანგი ჯანგირაშვილი

სასტუმროში

გვერდით ნომერში შენ გძინავს დაღლილს,
სიზმრების ქარგებს ქარგავ მალულად,
მე კი, უძღები ქოფაკი ძაღლი,
შენს გვერდით ვწევარ... ვირტუალურად!

ამ ფიქრით ვბილწავ უმანკოებას
შენსას და... რატომ მაცდუნებ, ღმერთო,
თუმცა ეს ცეცხლი მიზიდულობის
განა შენგანვე არ შემომენთო?

დამემშვიდობე ღიმილით ნაზით, –
ერთი კედელი გვყოფს, განა მეტი, –
„ძილი ნებისა„-ც იყო ლამაზი,
შენსავით მწველი, შენსავით ბრენდი...

იქნებ არც გძინავს, შენც ჩემზე ფიქრობ,
ფიქრობ გრძნობით და ფიქრობ ქალურად,
ჩვენს შორის კედელს შენც ანგრევ, იქნებ,
და მე მეხვევი... ვირტუალურად!

შენს ძებნაში

დავხეტიალობ ქალაქში მარტო,
მკვდარივით სძინავს სახლების კედლებს;
ფურცლებს დარდისას გადმიშლის მარტი,
ჩემს სულში გძინავს და მაინც გეძებ...

რა სასწაულებს მპირდება ქარი,
რა ახლოს მოდის ის ცის ნაპირი,
შეიშმუშნება მძინარე მტკვარი
და... შორით მესმის შენი ძახილი...

ვაანალიზებ

ვაანალიზებ, რაც თავს გადამხდა,
ხომ არ დავუშვი რამე გადახრა,
ზნეობის მდელო ხომ არ გადახმა,
შავმა მოზვერმა ხომ არ გადახნა...

მადლობა უფალს, პირნათელი ვარ!
თუმც, იყო რაღაც, ალი-ბალია,
ვფიქრობ და, მგონი, კვალს მივაგენი, –
ესეც ადამ და ევას ბრალია!..

გიორგი ლეონიძის სიცოცხლის

შალვა ამინაშვილი

გიორგი ლეონიძის გარდაცვალება ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ ტრაგედიად მიიღო. გაზეთებმა პოეტის გარდაცვალების მეორე დღეს – 10-ში დაბეჭდეს ცნობა, რომ გუშინ, 9 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე. პოეტის გარდაცვალების ამბავი „პრავდის“, „იზვესტიის“, „სოვეტსკაია კულტურას“, „ლიტერატურნაია გაზეტას“ და სხვა გაზეთების საშუალებით ეუწყა საბჭოთა იმპერიის ხალხებს.

საქართველოს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ქართველი მწერლების: **კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, სიკო ფაშალიშვილის, შალვა აფხაიძის, ალიო მირცხულავას, მიხეილ მრევლიშვილის, შალვა რადიანის, სიმონ წვერავას, ლავრენტი ჭიჭინაძის, კონსტანტინე მეძველიას, მამია ასათიანის, ერემია ქარელიშვილის, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ნატროშვილის, გიორგი ჯიბლაძის, გრიგოლ აბაშიძის, ალეკო შენგელიას, რევაზ მარგიანის, შალვა ამისულაშვილის, გრიგოლ ხერხეულიძის, იოსებ ნონეშვილის, აპოლონ ცანავას, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ვასო ბაიაძის, ხუტა ბერულავას, თენგიზ გოგოლაძის, მუხრან მაჭავარიანის,** მეცნიერების – **ალექსანდრე ბარამიძის, აკაკი შანიძის, ავლიპ ზურაბაშვილის, იოსებ მეგრელიძის, ნიკო მუსხელიშვილის;** მსახიობების – **ვასო გოძიაშვილის და ვერიკო ანჯაფარიძის** გამოსათხოვარი წერილები. დაიბეჭდა **კარლო კალაძის, გიორგი სამხარაძის, გაბრიელ ჯაბუშიანის, ნოდარ გურეშიძის, ბერდია ბერიაშვილის** გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსები; რუსეთიდან მოვიდა **ტიხონოვის, ტვარდოვსკის, ანა ანტონოვსკაიას, ლეონოვის, სურკოვის, გრიბაჩოვის, ფედინის, მარკოვის, ჩაკოვსკის, სოლოვიოვის, ევტუშენკოს;** ჩეხოსლოვაკიიდან – **ლისაგორსკის;** უკრაინიდან – **მიკოლა ბაჟანის, პავლო ტიჩინას, ოლეს გონჩარის, ვადიმ სობკოს, მიხაილო სტელმახის, პლატონ ვორონკოს;** აზერბაიჯანიდან – **რასულ რზას;** სომხეთიდან – **აშოტ გრაშის** და **გეღამ სარიანის;** მინსკიდან – **პეტრუს ბროვკას;** ლატვიიდან – **იან სუდრაბკალის;** ლიტვიიდან – **ედუარდას მეჟელაიტესის, ვენცლოვას, მარცინკიავიჩუსის, კორსაკასის** და სხვათა სამძიმრის დეპეშები; .

ნეკროლოგები გამოაქვეყნეს „პრავდამ“ და „იზვესტიამ“, ხოლო ამ უკანასკნელმა დაბეჭდა გიორგი ლეონიძის სამი ლექსის თარგმანიც.

„ლიტერატურნაია გაზეტამ“, გარდა ნეკროლოგისა, გამოაქვეყნა **ირაკლი აბაშიძის, ალექსი სურკოვის, მიკოლა ბაჟანისა და ლეონიდ ლეონოვის** გამოსათხოვარი სამგლოვიარო წერილები.

გიორგი ლეონიძის ხსოვნას ღირსეული პატივი მიაგეს მთელ იმპერიაში.

„ლიტერატურულ საქართველოში“, რომლის ოთხივე გვერდი – კუნჭულიდან კუნჭულამდე, გიორგი ლეონიძის ხსოვნას მიეძღვნა, გამოქვეყნდა **კარლო კალაძის** ლექსი „აგვისტო, წყნეთი“, დაწერილი გიორგი ლეონიძის ავადმყოფობის დროს:

„ყელ-გამშრალი წუთი წუთს
არ გვიმსუბუქებს, –
უჭირთ უკვე სუნთქვა
ლეონიძის მუხებს!
ლეონიძის ეზო იწვის
ცეცხლის ალით,
ლეონიძის ეზო ახმიანდა
ხალხით.
და ფერს ჰკარგავს მოლი,
როგორც შერისხული,
შესჭკნობიათ ჭადრებს
სიცხით ხელისგული...
და საყვარელ ფიჭვის
ცრემლებგამშრალ წამწამს
ახლა შიშველ მკერდის
ამოსუნთქვაც არ სწამს!
ლეონიძეს მაინც
თრთოლვა ესმის წიწვის,
აივანზე წევს და
აივანზე იწვის!
იწვის კაცი, იწვის!
ენის ძირი შრება! –
ლეონიძეს ნუთუ
სიტყვა შეეშლება“?!

გაზეთმა „კომუნისტმა“ სამგლოვიარო დღეებში ცნობილი აკადემიკოსებისა და პროფესორების ხელმოწერით სამედიცინო დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამი იყო: **„საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე დაავადებული იყო ღვიძლის პირველადი ავთვისებიანი სიმსივნით, რის შედეგადაც, 9 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა“.**

პოეტ ვასო გორგაძის (1895-1973) მოგონებებში ვკითხულობთ: **„ბოლო წლებში არ მომწონდა მისი სახის ფერი. თითქოს მხრებშიც მოიხარა. ნაბიჯი აღარ ჰქონდა ძველებურად ენერგიული, ხალისიც დააკლდა. აშკარად დაეტყო, მისი ორგანიზმი საკმაოდ დაუძლურებული იყო, მაგრამ, მაინც, რას ვიფიქრებდი, თუ ასე მოახლოებული იყო კატასტროფა“** („მნათობი“, №8, 1970).

გურამ ასათიანს (1926-1982) ასე დამახსოვრებია გიორგი ლეონიძესთან უკანასკნელი შეხვედრები: **„არასოდეს დამავიწყდება, სიკვდილის როგორი სიძულვილი იყო ჩამდგარი ავადმყოფი პოეტის თვალებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, კეთილი ღიმილით კრთოდნენ. როგორ სძულდა, ეზარებოდა არყოფნა, როგორი შეძრწუნებული იყო მისი სიახლოვით.**

გიორგი ლეონიძეს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თითქოს სული ეხუთებოდა ქალაქის ქუჩებში. როგორც კი დღიურ საქმეებს მოითავებდა, რაღაც ბავშვური მოუსვენრობა იპყრობდა: „წავიდეთ, სადმე ბალახზე გავშალოთ სუფრაო“.

მახსოვს უკანასკნელი ჩვენი გასეირნება წყნეთის გზაზე. ადრიანი გაზაფხული იყო. ქალაქს რომ გავცდით, წვიმა წამოვიდა, უამრავი წვრილი წვეთებით ცრიდა. შუა გზაზე გააჩერებინა მანქანა, იმ გორაკის თავზე, მდინარე ვერეს ვიწრო ხეობას რომ გადასცქერის. მანქანიდან გადმოვიდა და ქუდი მოიხადა. ჩვენ, ახალგაზრდები, გადმოსვლას ვერ ვბედავდით სიცივის შიშით. ის კი ქუდმოხდილი, ზეცაზე აპყრობილი იდგა და ნეტარებით უშვერდა სახეს ჟუჟუნა წვიმას.

მე მეგონა, იმ წუთას პოეტი ახალ გაზაფხულს ეგებებოდა, ახალი სიამის წინათგრძნობით უნათოდა სახე. მისი ღიმილი კი, თურმე, გამოსათხოვარი ყოფილა“.

გამომცემლობის ღვაწლმოსილი კაცი **შალვა დემეტრაძე** (1907-1971) იხსენებდა: **„გიორგი ლეონიძეს არ ახასიათებდა მოწყენილობა, ავადმყოფობაზე საუბარსაც ერიდებოდა. უფრო ბევრს მუშაობდა, ვიდრე თავს უვლიდა. 1966 წლის ზაფხული მისთვის საბედისწერო გამოდგა. სრულიად მოულოდნელად ლოგინად ჩავარდა. მიძნელდებოდა მისი ნახვა, მაგრამ, მაინც, დავძლიე თავს და ჩემ მეგობრებთან ერთად წავედი წყნეთში.**

იმ დღეს საშინელი სიცხე იყო. ავადმყოფი პოეტი აივანზე იწვა და ორივე ხელი წყლიან ჯამში ჩაეწყო. ჩვენ ფრთხილად შევედით. შემოგვხედა და თვალებმილულულმა ცხვირსახოცით მოიწმინდა ცრემლები. შეწუხებულებმა დავტოვეთ ავადმყოფის ლოგინი და კუთხეში დავჯექით მის უფროს ქალიშვილთან სასაუბროდ. ცოტა ხნის შემდეგ, გიორგიმ დაუძახა ნესტანს – სად წავიდნენ ის ბიჭები, ახლავე აქ მომიყვანეთო.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ღამის თერთმეტ საათზე, თინა დონჟაშვილი, ნინო აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი და მე თავზარდაცემულნი, დადუმებულნი სასახლეში ის იწვა, როგორც ლომი, 60 წელს გადაცილებული, მაგრამ ჩემს გონებაში მარად ჭაბუკი. თავის თავს სრულებით აღარ ჰგავდა. ამიტომ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ მიცვალებული გოგლა მენახოს, ან დამემარხოს. ჩემს ხსოვნაში იგი დარჩა, როგორც მარადჭაბუკური სიცოცხლე და ერთხელ ავადმყოფი, რომელიც შემდეგ აღარ მინახავს, ვინაიდან მიცვალებული გიორგი ლეონიძე გოგლა აღარ იყო. ამიტომ მე შემრჩა მხოლოდ ცოცხალი, მომღიმარი, მუდამ პოეტური შთაგონებით, დაბოხებული ხმითა და დაუდგრომელი მოძრაობით გამორჩეული, უსაყვარლესი მეგობარი, დიდი ქართველი პოეტი და მეცნიერი გიორგი ლეონიძე, რომელსაც სიკვდილმა გვერდით ჩაუარა, რომ მისთვის უკვდავებაში გადასული მარადჭაბუკური ყველაფერი დაეტოვებინა“ („ლიტერატურული საქართველო“, 29.05.1970).

ბალყარელი პოეტი **ყაისინ ყულიევი** (1917-1985) სევდიანად იხსენებდა: **„უკანასკნელად თავისი მშობლიური, სათაყვანებელი კახეთი ჩემთან ერთად მოიარა, ეს იყო მისი უცაბედი და მოულოდნელი სიკვდილის სამი თუ ოთხი თვით ადრე. საქართველოს დიდმა პოეტმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა თავის ავადმყოფობაზე, არ იცოდა, რომ ასე ახლოს იყო აღსასრული“** („ლიტერატურული საქართველო“,03.08.1973).

პოეტმა **სილოვან ნარიმანიძემ** გაიხსენა: **„მახსოვს, სარეცელზე მწოლი, ღონემიხდილი ლომი, ტიალი წუთისოფლის ხვედრს შეურიგებელი, უხილავ მტერთან საბრძოლველად შემართული, ნაადრევად მოსული სიკვდილის მომდურავი“.**

გიორგი ლეონიძის ნათლული, პოეტ სანდრო შანშიაშვილის შვილი, **ლატავრა შანშიაშვილი** წერს: **„1966 წლის 2 მაისს ძია გოგლა ჩვენთან მოვიდა. მაშინ მაჩაბლის ქუჩაზე ვცხოვრობდით. მამას ძია გოგლას მოსვლა რატომღაც განსაკუთრებულად გაუხარდა. ეხვეოდა, გვერდიდან არ იცილებდა, ალბათ, გრძნობდა, რომ ეს იყო ძია გოგლას უკანასკნელი ნახვა. ღამის პირველ საათამდე სუფრასთან ისხდნენ, მუსაიფობდნენ, ბევრი რამე გაიხსენეს... ძია გოგლა ისე კარგ გუნებაზე იყო, წასვლა აღარ უნდოდა. ბოლოს დაიღალა, მოიწყინა, მამას შესჩივლა: „რაღაც, ამ ბოლო დროს, თავს კარგად ვეღარ ვგრძნობ, ის აღარ ვარ, რაც ვიყავი, ალბათ, სიბერემ მიწია“.**

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ძია გოგლა ჩვენთან აღარ მოსულა, მამაჩემი ჯუგაანში იყო, იქ გაიგო მისი ავადმყოფობა, წუხდა, განიცდიდა, როგორც კი გათენდებოდა, მამას პირველი სიტყვა იყო – ნეტავი გოგლა როგორ არისო და ამბის გასაგებად ტელეფონით თბილისში რეკავდა.

ძია გოგლას გარდაცვალების დღეს, გათენებისას, მამა ლოგინიდან წამოიჭრა და მითხრა: ცუდი სიზმარი ვნახე გოგლაზე, ზღაპრული რაშით ჩაიქროლა, მე მეძახდა, მისმა ძახილმა გამომაღვიძაო. მამა ჩაფიქრდა, ბოლოს თქვა: „ეს კარგის მომასწავლებელი არ არისო...

1966 წლის 14 აგვისტოს ძია გოგლას დაკრძალვის მიტინგზე მამაჩემი თვალზე ცრემლმორეული უკანასკნელად გამოეთხოვა თავის უმცროს ძმას“ („ლიტერატურული საქართველო“. 23.05.1980).

გიორგი ლეონიძის უახლოესმა მეგობარმა, **შალვა აფხაიძემ** (1894-1968) ვრცელი მოგონებები გამოაქვეყნა პოეტზე და მისი ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო ეპიზოდი და დეტალი აღიდგინა. ბუნებრივია, მან მწარედ განიცადა მეგობარი პოეტის სიკვდილი: **„უკანასკნელი წლების განმავლობაში, იშვიათად ვხვდებოდი, მწერალთა კავშირში თუ გამოვიდოდა, აუცილებლად მომინახულებდა, ჯანმრთელობის ამბავს მკითხავდა. შარშან მძიმე ავადმყოფი შინ მნახა. რომ მორჩები, ერთად გავიდეთ ქალაქგარეთ და ვისადილოთო, – მითხრა. რად გინდივარ, დიეტაზე ვარ და ღვინოს სულ არ ვსვამ-მეთქი, ვუპასუხე. არც ეგრე ვარგაო, – მითხრა, – ორგანიზმი ღვინოს არის მიჩვეული და სავსებით ხელის აღება არ შეიძლებაო. კარგა ხანს მესაუბრა, როგორც იცოდა, მითხრა: აბა, ყოჩაღად იყავი, ყოჩაღადო!**

იანვარი იყო, მგონი. სერგო, მე და ჩემი მეუღლე გოგლას შინ ვეწვიეთ. გაუხარდათ, შესანიშნავი სუფრა გააწყო ფეფიკომ. სუფრას ლაზათს აძლევდა უიშვიათესად გაკეთებული საჭმლები. შესანიშნავი კახური ღვინოც მოიტანა დოქით, მაგრამ, ვინღა იყო დამლევი. აღარც გოგლა, აღარც სერგო, აღარც მე. სამი „სტარიკი“ ვუსხედით სუფრას. ვიგონებდით წარსულს, დაუდეგარ წლებს, კარგ დროს. გოგლამ კიდევ ერთხელ მოიგონა პაოლო, ტიციანი, ნინა ტაბიძე და ყველანი, ვინც უკვე აღარ იყვნენ ჩვენთან. სევდა შეეპარა თვალებში და გაჩუმდა. სერგომ სცადა ხალისი შემოეტანა, მაგრამ, წლებით დამძიმებულებს, უკვე აღარ გვქონდა ამის თავი. შუაღამემდე არ გამოგვიშვა, – დარჩით რა, დარჩით, ჯერ ადრეაო, – გვთხოვდა ფეფიკოც. ავდექით. გოგლამ გარეთ გამოგვაცილა. ტაქსს ველოდეთ, რომ არ გამოჩნდა, შვილიშვილს სთხოვა: გამოიყვანე მანქანა და სახლებში ჩამოარიგეო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა სუფრაზე“ (შ.აფხაიძე, „წერილები და მოგონებები“, 1969).

უკანასკნელი დღეები

საქართველოს სახალხო არტისტმა **ალექსანდრა (შურა) თოიძემ** ასე აღწერა გიორგი ლეონიძის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები: **„1965 წლის 24 აპრილს დიდუბის პანთეონში დავკრძალეთ ნინო ტაბიძე. გოგლამ აქაც დიდის მღელვარებით და სიყვარულით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა და სამგლოვიარო სუფრაც მანვე ძმურად გადაუხადა. დაუვიწყარია ჩემთვის 1966 წლის 28 აპრილი... მწერალთა კავშირის დარბაზი ძაძებშია. გაისმის ირაკლი აბაშიძის სიტყვა, მერე ძლივს ლაპარაკობს გოგლა, ფაქტიურად, ტირის საყვარელ სიმონის გასვენების წუთებში, მერე აქვითინებული ქალები... მეორე დღეს, ჩვენს ბინაზე, გოგლა, ვლადიმერი (ვლადიმერ მაჭავარიანი), მწერალი-პუბლიცისტი** (ალ.თოიძის მეუღლე. შ.ა.) **და მე ტელევიზორს ვუსხედით და აცრემლებულნი ვუსმენდით სიტყვებს სიმონის გამოსვენებისას. გოგლამ თავი ვერ შეიკავა, ატირდა, ძლივს დავამშვიდეთ – გოგლა, რა მოგივიდა, გოგლა დაწყნარდი! ვლადიმერი, საერთოდ, ცუდად გახდა, გასაკვირიც არ იყო.**

გოგლას თვითონ დიდხანს არ ეწერა ამის შემდეგ სიცოცხლე.

საყვარელი პოეტი და კეთილი ადამიანი, მუხის ფოთლების გვირგვინებში იწვა სამუდამოდ თვალდახუჭული და ვეღარ ისმენდა პოეტ ონორა ლოსოგორსკის (ჩეხოსლოვაკიელი პოეტი. მ.ა.) **სიტყვებს, – ზოგი ადამიანი მოდის ამქვეყნად და აღარ მიდის, ამ მიწაზე სამუდამოდ ცოცხალი რჩებაო“** („მნათობი“, №2, 1980).

მწერალმა **სულხან ქეთელაურმა** გაიხსენა: **„ბოლო დროს გულსა და წნევას უჩიოდა და ღვინო ექიმებისგანაც აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ზომიერად ყოველთვის სვამდა. ექიმების რეჟიმს უნდობლად უყურებდა.**

ჩვეულებრივ, სანახავად შევიარე – მთელი თვე იყო, რაც არ მენახა, მაგრამ კაბინეტის კარი გამოკეტილი დამხვდა. დერეფნებსა და ოთახებში უცნაურ სიჩუმესა და სიცარიელეს დაესადგურებინა. ბუხჰალტერი და მოლარე მგლოვიარეებივით ისხდნენ და თვალებზე ნამტირალეობა ემჩნეოდათ. ბუხჰალტერმა მითხრა:

– ძალიან მძიმედ ყოფილა...

კიბე ჩავირბინე, ვერის ბაზრის წინ ტაქსი გავაჩერე და წყნეთში ავვარდი. მთელი ინსტიტუტი იქ დამხვდა. თანამშრომლებში ორი იმდენი ნაცნობ-უცნობი ერია, შიგნით რა ხდებოდა, დაბეჯითებით არავინ იცოდა, ექიმთა კონსოლიუმი ჯერ თვითონაც არკვევდა და ავადმყოფთან არავის უშვებდა. ხალხი დაღვრემილი სახით მიმოდიოდა ეზოში, ჭიშკრის ირგვლივ და კონსოლიუმის საბოლოო დასკვნას იმედითა და სასოებით მოელოდა.

ამ დღიდან ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ დიოდა წყნეთისკენ და მნახველთა და მომკითხავთა რიცხვიც მატულობდა.

ერთ საღამოს, აივანზე, მოაჯირის გაყოლიებით, ვისხედით. გვერდით ინსტიტუტის თანამშრომლები მესხდნენ. – უნდა შევიდე და ვნახო, – გადავუჩურჩულე მათ და აივნის სიღრმისკენ ფეხაკრეფით წავედი. საწოლი აივნის მარცხენა კუთხეში იდგა. გულაღმა იწვა, ბალიშებზე ოდნავ შემაღლებულად... მარცხენა ხელი ძირს ჩამოსცურებოდა და თითებით იატაკს ეხებოდა.

ერთი პირობა ძირს ჩამოცურებული ხელის აწევა და საბანზე დასვენება განვიზრახე, მაგრამ ვერ გავბედე, – არ გაეღვიძოს-მეთქი. უკან ისევ ნელა, ფეხაკრეფით გამოვბრუნდი და თან იმედითა და რწმენით სავსე გული გამოვიტანე.

მესამე დღეს მეხივით გავარდა ავი ამბის მაცნე ხმა – გარდაიცვალა გიორგი ლეონიძე“! („მნათობი“, №1,1981).

პოეტ **ემზარ კვიტაიშვილს** ცოლად გიორგი ლეონიძის დისწული ყავდა და ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს და პერსპექტიულ შემოქმედს განსაკუთრებული სითბოთი ექცეოდა დიდი პოეტი, ხშირად ეწვეოდა ხოლმე სახლში სიძესა და დისწულს. გიორგი ლეონიძის სიკვდილთან ბრძოლას ემზარ კვიტაიშვილი შეესწრო და გარდაცვალებიდან 11 წლის შემდეგ მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სევდიანი ფერებით გადმოულაგა მკითხველს: **„ივნისის თვეში, სამსახურში მისულმა, რამდენჯერმე ცუდად იგრძნო თავი. ერთ დღეს მივაკითხე, ტკივილს უკვე გაევლო, მაგრამ სახე უცნაურად ჰქონდა აფორიაქებული: შედარებით მაინც კარგ გუნებაზე მეჩვენა. ახლა არა მიშავსო, – თქვა, რაღაცაზე კიდეც გაიხუმრა.**

ორი კვირაც არ გასულა, რომ სიცხიანი ჩაწვა.

სანახავად მივედი. დაბალ, დიდ ტახტზე იწვა სასტუმრო ოთახში. იქვე თანამშრომლები, ნათესავები და ახლო მეგობრები ისხდნენ. ელაპარაკებოდნენ, ამხნევებდნენ, უიმედობა არც თვითონ ეტყობოდა, მაგრამ გახშირებული სუნთქვა ლაპარაკს უშლიდა. ოჯახი შეშფოთებული იყო; ერთხანს, ტიფიც ეგონათ. ორი-სამი დღის შემდეგ საავადმყოფოში დააწვინეს. სანახავად თითქმის ყოველდღე დავდიოდი, ვცდილობდი გამერთო, ახალი ამბები აინტერესებდა.

უკეთესობას რომ შეატყობდა, თავზე მდგომი უმცროსი ქალიშვილი, ნესტანი ამხნევებდა, სულ მალე კარგად გახდებიო. ერთ დღეს რომ რაღაცის იმედი ჰქონდა, მეორე დღეს ისევ ეცვლებოდა ფერი. 25 ივლისს, წყნეთში, მის აგარაკზე გადაიყვანეს. რამდენიმე დღეს აივანზე იწვა, თვალებში ცის სილურჯე გაუქრა, ჩაუმუქდა. ბნელი ლანდი ჩასახლებოდა. იმ ზაფხულს წყნეთშიაც ჭირდა სუნთქვა, ფოთოლი არ იძროდა. მომცრო, ტოტებგადაკლაკნილ მუხებზე არც ალვის ხეებს უვლიდა ჟრჟოლა. აივანზე ვუდექი ჩუქურთმიან, ხალვათად ამოჭრილ ტიხართან, დროდადრო მისკენ ვიხედებოდი. ხელით მიმიხმო. მივედი. საწოლთან დავიხარე.

– ხომ ხედავ, რა სიცხეებია, – სვენებ-სვენებით, მისუსტებული ხმით მითხრა. ბავშვი აქ ამოიყვანე, ცოდოა, მზე არ ჩაუვარდეს თავში.

ჩემს ბიჭზე მეუბნებოდა, სამი თვის ჩვილზე; თავად განწირული, სხვებზე ფიქრობდა. სხვების დარდი ჰქონდა. ცრემლი მომერია, რაღაც ამოვილუღლუღე და გავტრიალდი.

ადრე, სანამ ფეხზე იყო, ხმადაბლა ნათქვამის გაგონება უჭირდა.

ახლა, ავადმყოფობაში, საოცრად გაუმახვილდა ყურთასმენა, აივანზე რომ დაიჩურჩულებდა ვინმე, ოთახში მწოლიარეს ესმოდა. ეჭვი ჰქონდა, რომ რაღაცას უმალავდნენ. თუმცა, ასედაც იყო. მოშორებით დამდგარ და ჩუმად მოთათბირე კონსოლიუმის წევრებს ისე უყურებდა, როგორც შეთქმულებს...

... შორიდან ვუმზერდი, ნელა დააქანებდა მოხრილი მუხლი ზედ გადაკეცილ თხელ საბანს. ყველაფრიდან ჩანდა – ეს ერთ-ერთი უკანასკნელი შერხევა, უკანასკნელი მოძრაობათაგანი იყო იმ კაცისა, ვის ძლიერ სხეულშიც რქამოტეხილი ხარ-ირმის ჟინით ბორგავდა ყველაზე დიდი სასწაული – სიცოცხლე. უკვე დამსხვრეოდა ოქროს ბორბლები ბედის ეტლს... ახლა, სადავემოშვებულად, ინერციით თუ შემოიწერებოდა ორიოდე წრე. იგი ახლა დასაღუპავად გადაფერდებული ხომალდი იყო, უკანასკნელ მეჩეჩზე გარიყვა ელოდა, შავი ყურღანების სამუდამო მდუმარება. ვიცოდი – უკანასკნელად ატოკებდა ხელსა და ფეხს, უკანასკნელად დაატარებდა ზეწარივით თეთრ ჭერზე დასიცხულ, მოღლილ მზერას. ვიცოდი, თვითონაც იცოდა. მალე უფრო ბევრსაც გაიგებდა, გარდაცვლილებმა ჩვენზე მეტი იციან...

... მიცვალებულის პანიკური შიში მაქვს. ვერ ვეკარები. მიახლოება მიჭირს. გული მეკუმშებოდა. ძლივს შევედი ოთახში, სადაც იგი ესვენა ნაბრძოლი, ნატანჯი, იარაღაყრილი. მართლაც, მძინარესავით იწვა, ძველი მეომრის სახე ჰქონდა. იგი ჰგავდა ჰექტორს, რომელსაც სიკვდილმა ჩაჩქანი დაუმსხვრია. ეცოტავებოდა სარეცელი, ვერ დატეულიყო საწოლის რკინაზე თავით მიბჯენილი, ცივ მარადისობაში გასროლილი...

მიცვალებული ტახტზე გადაასვენეს. მეგობნა ვეება ლაჟვარდებს ნაჩვევი ფრთები დასთრევდა. ასე დაჰყურებენ გიგანტურ ფრინველს, ტყვიანაკრავს, ხრიოკ ფლატეზე დავარდნილს, რომლის ტანსა და მოწყვეტილ ფეხებს ნელ-ნელა ეცლება სითბო, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენია ჟრუანტელის დამცემი გრილი სირბილე.

უმთვარო ღამე იყო. ეზოს სიღრმიდან ზარნაშოს მონოტონური, გულისგამპობი კვნესა მოისმოდა. ამ მისტიური ელდით სავსე გაუთავებელმა ქვითინმა შემაწუხა. დაბლა ჩავედი. ძეწნისა თუ ფშატის ხეს მივადექი და ტოტზე შემომჯდარი მუქი ლანდის დასაფრთხობად გაქვავებული ბელტი ავისროლე. ღამის ფრინველი, ღამეზე უშავესი, ფიზიკურად, თავიანთი შემოქმედებით მაინც უბრუნდებიან ცხოვრებას, განუშორებლად რჩებიან მკითხველებთან, თავიანთ ქვეყანასთან, თავიანთ ხალხთან“.



გარდაცვალების შემდეგ იგი სულ მწვანეში, ყვავილებსა და ფოთლებში ესვენა. მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობას შეეცვალა მისი მიმზიდველი და ვაჟკაცური გარეგნობა, მაგრამ მას მაინც შერჩენოდა ფაფარაყრილი ლომის იერი. კუბოს თავთან ედგა მუხის დიდი გადანაჭერი, კუნძი, რომელზედაც სანთლები ენთო“ (შ.რადიანი – „მოგონებები. წერილები“, თბილისი, 1976).

გიორგი ლეონიძის სიცოცხლეში გამოცემული მისი არაერთი წიგნის რედაქტორსა და გამომცემელს, პოეტ **ხუტა ბერულავას** ასე აქვს დამახსოვრებული გოგლასთან უკანასკნელი შეხვედრები: **„გიორგი ლეონიძის აგარაკი. წყნეთის საღამოები. მძიმე და სევდიანი საღამოები. პოეტის ბაღი. შეშფოთებული და ჩაფიქრებული ადამიანები. თითქოსდა მწარე წინათგრძნობით შეპყრობილი ხეები. გოგლას საყვარელი ხეები.**

ერთ საღამოს აივანზე მწოლიარე ავადმყოფ პოეტთან ვსაუბრობდით, უფრო ზუსტად: საუბრობდნენ სხვა ამხანაგები, მე კი თავსასთუმალთან ვიდექი და ვდუმდი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა დიდი პოეტი. ხან მილულავდა თვალებს, ხან კი ტკივილისაგან გამწარებული შფოთავდა.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. მერე სხვებს დავუთმეთ ადგილი. ის იყო ეზოში გავედით, რომ გიორგი ლეონიძის ახლო ნათესავმა მოირბინა და მითხრა: ძია გოგლა გთხოვსო.

– ვიწვი, ვიწვი, თითქოს ცეცხლი მეკიდება! – შემომჩივლა მან. – თქვენ ხომ ვეფხვი ხართ, ძვირფასო გოგლა. ავადმყოფობა რას დაგაკლებთ. აი ნახავთ: რუსთაველის იუბილეზე ფეხზე დადგებით და თქვენებურად შეეგებებით საქართველოს სტუმრებს! – სხვა რა მეთქვა, როცა მეც ასე მჯეროდა.

– ვიცი, ვიცი, რომ რუსთაველის დღეებში წამოვდგები. მაგრამ, მანამდე რა ვქნა, ცეცხლი მეკიდება, ვიწვი...“ (ხუტა ბერულავა, „მშობლიური სახელები“, თბილისი, 1973).

აკაკი გაწერილიამ დიდი პოეტის გარდაცვალების ასეთი სურათი დაგვიტოვა: **„გიორგი ლეონიძე ბობოქრულად ებრძოდა უკურნებელ სენს.**

იმ ზაფხულს, წყნეთში, თავისი სახლის აივანზე იწვა იგი. იქ ვინახულე.

როცა მზის შუქი მიადგა ავადმყოფი პოეტის საწოლს, მისმა სიძემ და მე შევუცვალეთ ადგილი. ორივეს გაგვიჭირდა მდევის ადგილიდან დაძვრა.

სასთუმლის ახლოს, პატარა მაგიდაზე, რკინის (თუ ვერცხლის) თასი ედგა და თვითონ აავსო იგი ღვინით.

– ამ თასით სვამდა ღვინჯუა. შესვი! – წარმოსთქვა მან.

სახეზე სრულიად არ ეტყობოდა შიში გარდუვალის მოახლოებისა. საშინელი სენი, რომელიც ჩვეულებრივად დიდად ამახინჯებს ადამიანს, გიორგი ლეონიძესთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა: მან ვერც გოლიათური შესახედაობა წაართვა პოეტს, ვერც სულიერი მხნეობა.

ეზოში გრილოდა. ავადმყოფი კი სიცხეს უჩიოდა.

– კოჯორში ალბათ გრილა!.. ქშენით აღმოთქვა და დაუმატა:

– იცი თუ არა, რომ თამარ მეფე კოჯორში გარდაიცვალა?!

ახლაც არ ვიცი, რას ემყარებოდა მისი ვარაუდი. აშკარა იყო, ოღონდ უკანასკნელ დღეებშიაც ისტორიული მოგონებანი არ ასვენებდნენ.

წამდაუწუმ ბორგავდა, როგორც სიცოცხლეზე დახარბებული ადამიანი, რომელიც მთელი თავისი არსებით მშობლიური ქვეყნის ნიადაგზე იდგა და მასთან გამოთხოვება ეძნელებოდა.

და ავადმყოფის შფოთვა მიაგავდა გრიგალის უხეშ ძალადობას ძლიერ მუხაზე, რომელსაც ესესაა მიწიდან მოთხრას უპირებენ.

და როცა ეს მუხა ბოლოს მაინც წაიქცა, აშკარად გამოჩნდა, თუ როგორ ღრმად ჰქონია მას გადგმული ფესვები დედა-მიწაში“ („ცისკარი“, №6, 1970).

სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლის დირექტორმა **მ.პიტიურიშვილმა** გიორგი ლეონიძის სამგლოვიარო დღეებში გამოაქვეყნა წერილი, სადაც ნათქვამი იყო: **„უკანასკნელად ჩვენი საყვარელი თანამემამულე, მძიმე ავადმყოფი, საავადმყოფოში ვინახულეთ. არ გვინდოდა ლაპარაკით დაგვეღალა, მაგრამ თვითონ არ გაგვიშვა, დაწვრილებით გამოგვკითხა სკოლის მშენებლობის ამბები, მასწავლებელთა შესახებაც გველაპარაკა და, ბოლოს, გვითხრა: „თქვენ ნუ შეწუხდებით და, თუ შემთხვევით ვინმე მოდიოდეს, ჩვენი სოფლის წყაროს წყალი გამოატანეთო“. სურვილი კი შევუსრულეთ, მაგრამ სოფელში ვეღარ ჩამოვიდა და თავისებურად პეშვით ვეღარ დალია თავისი გამოყვანილი წყალი“** („სახალხო განათლება“, 17.08.1966).

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ მაშინდელი რედაქტორი **მიხეილ დავითაშვილი** (1914-1991) წერდა: **„მოშრიალე ხეებში ჩაფლულ აივანზე იწვა დამწუხრებული დიდი მგოსანი. სახე შეშუპებული ჰქონდა, ლოყები შეწითლებოდა. ხელები ცივი წყლით სავსე პაპისეულ სპილენძის თასში ეწყო. მაღალი შინაგანი სიცხე აწუხებდა. გამახსენდა ვაჟა-ფშაველა, ისიც ხომ ზაფხულის პაპანაქებაში შინაგანი სიცხით იწვოდა სარეცელზე მიჯაჭვული. გიორგი ლეონიძე მომესალმა თუ არა, იქვე შემომჩივლა: „რაშია საქმე. მარტო მე ვიწვი თუ, საერთოდ არის სიცხეო“.**

გიორგი ლეონიძე არა მარტო თავის თავს, ქართულ მწერლობას, ქართულ მეცნიერებას და ქართველ ხალხს მოუკვდა.

საკონკურსო ვარიაციები

„ახლა ისეთი დროა,როდესაც სათნოებითა და სიფხიზლით წესიერი გზით უკვე ვეღარაფერს შექმნი. ხელოვნება შეუძლებელი გახდა თუ ეშმაკს არ დაიხმარებ და შენს სამწერლო ქვაბს ჯოჯოხეთის გეენაზე არ შემოდგამ“.

თომას მანი

კონკურსების ციებ-ცხელებით შეპყრობილი ქვეყნის აჩქარებული მაჯისცემა მოწმობს, ეს ის სფეროა, რომლის დათმობასაც არავინ გეგმავს იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური პერიპეტიების გაუარესების კვალდაკვალ, საზღვრების ყოველდღიური შეკვეცის ფონზე, ახალგამომცხვარი ხელოვანების სიმრავლე აბსურდს (თუ კარიკატურულ რეალობას არა) ეთანაბრება.

და მაინც, კულტურული სივრცის შესანარჩუნებლად წარმოებულ ომში კონკურსს არც თუ უმნიშვნელო როლი აკისრია. დაუსრულებელი შეჯიბრისა და აღებ-მიცემობის პარალელურად, პარნასზე მოხვედრის მსურველთა რიცხვის განუხრელი ზრდა ხელოვნებისადმი დაუცხრომელ, სისხლხორცეულ ინტერესს ადასტურებს. მოკლედ, „სჯობს სახელისა მოხვეჭა“ კვლავ უვადო პრიორიტეტია, რაც მოუწყობელი სამშობლოს არც თუ დალხენილ ბინადრებს საპატიო ასპარეზის ძიებისა და თვითდამკვიდრებისკენ უბიძგებს. ცალკე საკითხია, გარე და შიდა ფაქტორებით შეჭირვებულ საქართველოს ამდენი სახელისმაძიებელი უზრუნველ მომავალს თუ აღირსებს. მართლაც, სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას გავლენიანი პოლიტიკოსი (კომუნისტური უტოპიისკენ ვიხრები!) შეუწყობს ხელს თუ მართვის სადავეებს კვლავ პოპულარული, ათასგზის გაკოტრებული „ჰუმანისტები“ გადაიბარებენ, რომელთაც, თავის დროზე, ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ლომის წილი მიუძღვით. ერთი რამ ცხადია: პოეტების ქვეყანა ძველთაძველ ტრადიციას ვერ ელევა. ჯერჯერობით, უძრავი დეკორაციის ფონზე, „ფრონტის ხაზი უცვლელია“!

ამაღელვებელი მოცემულობა – კონკურსი, როგორც ხელოვანის სავიზიტო ბარათის წარმატებული აქსესუარი, უხსენებლის მიერ „შემოგდებული“ ვაშლივით მაცდურია, თუმცა, მის შიგთავსზე მსჯელობისას, უმეტესად, ნეგატიური შეფასებები ჭარბობს. ჟიურის შემადგენლობიდან დაწყებული, მონაწილეებით დამთავრებული, უკლებლივ ყველა კრიტიკის სამიზნეა. ამ ნიადაგზე აგორებულ უსასრულო ვნებათაღელვას მრავალი სუბიექტურობიექტური მიზეზის ერთობლიობა განაპირობებს. სახელდობრ, ჩვენი გარემომცველი სინამდვილე, რომელიც მიუკერძოებელ კეთილმოსურნეობასა და სანდოობას ჩანასახშივე გამორიცხავს. 90-იან წლებში დაგროვილი გამოცდილება შემაშინებელი აჩრდილივით ჩვენს წინ ჩინური კედელივით აღმართულა, მის თვალშეუდგამ მოცულობას ვერსად გაექცევი, ქრონიკული განუკითხაობისა და დაუსჯელობის დამღას ცრუ ლაყაფითა და ზერელე ლოზუნგომანიით ვერ ჩამოირეცხავ, მით უფრო, ხელაღებით ვერ უკუაგდებ.

კონკურსის მახასიათებლებზე მსჯელობისას, ეგებ, მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, ანგარიში გავუწიოთ. კერძოდ, „ჩაწყობის“ ესოდენ მიღებული ფორმის აუცილებელ ატრიბუტს, რაც ნომენკლატურული მსოფლმხედველობის ჟიურის წევრების თვალშისაცემ მოქნილობასა და ტენდენციურობაზეა გათვლილი. ათასკონკურსგამოვლილი ბირთვის მედეგობას, სწორედ ყველგანმყოფობისა და „ფიგაროობის“ უნართან შენივთული პრეტენზია განსაზღვრავს. ამ გამობრძმედილმა კადრმა წინასწარ იცის (საიმედო ინფორმატორების წყალობით), უცვლელ ფავორიტთა დასს, გზა რა ილეთების დახმარებით გაუკაფოს, რჩეულთა თვალისმომჭრელ ბენეფისს მუდმივად ხელი შეუწყოს, ხოლო საბოლოო ჯამში, პრესტიჟული პრემიებისა და ჯილდოების მინიჭება-მიკუთვნების საშუალებით ცალსახად, შერჩევითი პრინციპით, უზრუნველყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კასტა სათანადოდ „ჩამოიწერება“ და მის ადგილს ნაპატიები შეგირდების სექტა დაიკავებს.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, საზოგადოებას ხმამაღლა არ დაუსვამს საკითხი, ასგზის გაკოტრებული ინტელიგენციის „წინსვლა“ როდის დასრულდება. უხეშად რომ ვთქვათ, ავგიას თავლა როდის გაიწმინდება, სახიფათო ექსპერიმენტებით ჩახერგილი გზა ხალას ნიჭიერებას რომ დაეთმოს. საყველპურო მოსაზრებების ფრაგმენტულობა და კულუარებში „ნაცნობ-მეგობართა“ გასაგონად გესლის ნთხევა საქმის ვითარებაზე სასიკეთოდ არ მოქმედებს. ასგზის გზაგამრუდებულ პროვოკატორსაც ვერავინ ჰკადრებს მამაზეციერივით ყველგან რატომ მბრძანებლობს, საეჭვო ავტორიტეტისა და ნიჭის მქონე სხვების ნაშრომ-ნაღვაწს რა კრიტერიუმით განიხილავს და აფასებს, აბსოლუტური უპასუხისმგებლობით ცნობილ-გამორჩეული რა უფლებით საზღვრავს, ხელოვნების სფეროში ვის რა უკეთებია, მსუყე პრემიას ხშირ-ხშირად რა მანქანებით ეპატრონება. მოკლედ, სრულიად არაკომპეტენტურს რეალურად რა ამოძრავებს, ისედაც დაქვეითებულ მწერლობას ღირსება საბოლოოდ რომ აჰყაროს და უთანასწორო შეჯიბრში ჩათრეული კოლეგები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდოს.

ფაქტია, უწესრიგოდ დახვავებულ კითხვებს ბოლო არ უჩანს მაშინ, როცა მოპასუხე შესაბამისი ახსნა-განმარტებით თავს არასდროს იწუხებს. მისი ფუნქცია საეჭვო იდეოლოგიის განმტკიცებას, ამ მიზნით საგანგებოდ გამოყოფილი თანხის ათვისებასა და ახალი, გამოსადეგი კადრის დაფრთიანებას ითვალისწინებს ნიჭიერებასა და კეთილსინდისიერებას მედგრად გზა რომ გადაუღობოს!

არადა, კონკურსის დანიშნულება საპირისპირო მიზნის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. სადღეისო მონაცემებზე დაყრდნობით, უმაღლესი სასწავლებლების განუხრელი ზრდის მსგავსად, კონკურსების რაოდენობაც თვალსადახელშუა მატულობს. თუმცა, სიმრავლე ხარისხის მაჩვენებლის სასარგებლოდ ოდნავაც არ მეტყველებს. დროა აქტუალური კითხვების ფორმულირებით კონკურსის ნამდვილი დანიშნულების შესახებ ვიმსჯელოთ, ეგებ, აქ გამოთქმული მოსაზრებები სამომავლოდ გაითვალისწინონ, მწერლობის განვითარების ხათრით უფასო, დაუყვედრებელი და საქმიანი რჩევა-დარიგება მკვახე ნიშნისმოგებისგან განასხვავონ თუ, რასაკვირველია, წინასწარგანზრახულობის აჩემება ყურთასმენას არ დაუხშობთ და საპირისპიროდ არ განაწყობთ. ეს გავრცელებული ზნე მოწმობს, ჩვენში, საქმის კეთება რა ჯოჯოხეთურადაა გართულებული და ერთეულთა ძალისხმევის ხარჯზე სასიკეთო ცვლილებებს მნიშვნელობა ეკარგება!

უპირველესად, დღის წესრიგში, კონკურსის ორგანიზატორთა კომპეტენტურობაა შესასწავლი. აქ, უთუოდ, მოჩალიჩე ტიპების სიმრავლეა გადამწყვეტი, რადგან ამ ყაიდის ხალხი მსხვილ დამფინანსებლებსა და ორგანიზაციებს იოლად პოულობს, რაც მიზნის მიღწევას აადვილებს. მთავარი აქცენტი პრემიების სოლიდურობაზეა გამახვილებული, ჟიურისა და მონაწილეებს რეალურად არ აინტერესებთ შთამბეჭდავი თანხის უკან პროფესიონალი დგას თუ, უბრალოდ, ფულის ტომარასთან იჭერენ საქმეს და რადგან მთავარი ფიგურანტი, ამავდროულად, ჟიურის თავმჯდომარეობს, ვითარების სირთულე სახეზეა. ნაცნობ-მეგობრობის მომენტი არანაკლებ ანგარიშგასაწევი ფაქტორია, თუ თავ-რეს მოესურვა, თავის კადრს ისე „გააპარებს“, უბატონოდ ხმას ვინ გასცემს, ის ხომ მძლეთამძლე ორგანიზატორია და კონკურსის ხელმძღვანელი!

საეჭვო გარიგებები სწორედ აქედან იღებს სათავეს. წინასწარ ყველა გაფრთხილებულია საპრიზო ადგილებზე რომელი კანდიდატია გასაყვანი. შორს რომ არ წავიდეთ ამის ქრესტომათიულ ნიმუშად მწერალთა კავშირის მესვეურთა მიერ ჩატარებული კონკურსები გამოდგება, ამ ორგანიზაციას არც ზეელიტარული „საბას“ სულისჩამდგმელები უდებენ ტოლს, რომლის გამარჯვებულებიც, კარუსელის პრინციპის მიხედვით, მხოლოდ უახლოეს თანამზრახველებს აჯილდოებენ და ამდიდრებენ. ორივე შემთხვევაში ანალოგიური ხელწერა დომინირებს. მოწინააღმდეგე ბანაკების უჭკნობი ცნობადი სახეები ჟიურის საავარძლებს ეგვიპტური მუმიებივით სამარადჟამოდ შეზრდიან, რათა მათ ბაგეთაგან გადმოფრქვეულ „სიბრძნისმეტყველებას“ სვებედნიერი ახალთაობელები გულისფიცარზე იბეჭდავდნენ!

ტომობრივი ნიშნით გამართულ კონკურსებსაც იგივე დამღა ატყვია: პოპულარული მწერლები ერთმანეთს მორიგეობით ასაჩუქრებენ და სხვა კუთხიდან „შემოპარულებს“ ისღა დარჩენიათ ნერწყვის ყლაპვას დასჯერდნენ. ამ მხრივ მთიულებს ძნელად თუ შეედრება ვინმე, თუმცა, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და მათი შეუვალობით გაღიზიანებულმა დასავლეთელებმაც მსგავსი სტილი გადაიღეს, სადაც „ჩემიანის“ გარდა ვერავინ იხეირებს! რუსები თუ საქმის კურსში არიან, საზღვრების ყოველდღიური შეკვეცით, ჯაფას იორკეცებენ, იქ რომელიმე მოყურადე შეგზავნონ და ცალსახად დარწმუნდებიან, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში კუთხური სეპარატიზმი ყველა ასპექტში არნახულად იფურჩქნება! მეგრელებსა და სვანებს ვიღა დაეძებს, მათ აღარავინ ჩამოუვარდება. მოკლედ, იმგვარი ტომობრივი წყვეტაა (შუღლი და ქიშპი ძველმოდურ სიტყვათა ნუსხაშია!) ხუმრობა უკან მოვიტოვოთ, კონკურსების სისტემა ისეა გამართული, მეეჭვება, არსებით ცვლილებას (ეს ფორმალური ფანდი იქნება!), გამაჯანსაღებელი შედეგი მოჰყვეს. ჟიურის წევრების ანონიმურობა ამის ერთადერთ გარანტად არ გამოდგება, თუ თავმჯდომრის უფლებამოსილება შეუზღუდავია (ამას შესაძლოა ფარული ხასიათი ჰქონდეს), უხილავ ზეწოლას ვერავინ გააკონტროლებს.

ახალი კადრის მოზიდვისა და დასაქმების თემა იაფფასიანი სატყუარაა, თანაც, საქმე საქმეზე რომ მიდგება (ამაში არაერთხელ დავრწმუნდი!), ეს ახალუხლები ძველ სქემას იმდენად ბუნებრივად ირგებენ, შიზოფრენიით დაავადებულის მსგავსად, ლამის პიროვნული გახლეჩის საფრთხე გვემუქრება; გადახალისების ნაცვლად კვლავ მყარ „ზომბის“ ეჯახები, რომელსაც რეფორმის აუცილებლობა სხვების გასაბრიყვებლად აკერია პირზე, რეალურად კი ვეტერანების ნაცადი სქემით მოქმედებს. დემაგოგიის განხრით, იცოცხლე, ციცერონსაც პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებდნენ, საქმე კვლავ ნულოვან წერტილშია გაჩხირული! წარმატებული ადამიანის იმიჯის დასამკვიდრებლად ახალთაობელთა შორის კარიერისტული მისწრაფებების წახალისება ხომ სახელმწიფოებრივ რანგშია აყვანილი და, რა გასაკვირია, ყველაფერზე ხელისმომწერთა რიცხვი რომ განუხრელად მატულობდეს!

ჟიურის წევრთა კომპეტენტუტობის პარალელურად, კონკურსის ვადის განსაზღვრა საკმაოდ ყურადსაღები „წვრილმანია“. ხშირად (ასეთი ამბები არასდროს იმალება!) ნაჩქარევად გამოცხადებული კონკურსის მესვეურებს მონაწილეთა შემოქმედების ასათვისებლად აუცილებელი (თუ არა სავალდებულო!) დრო არ გააჩნიათ. ამის თაობაზე „საბას“ ჟიურის წევრთა (და არა მხოლოდ მათი!) ანეკდოტური უპასუხისმგებლობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მოუცლელ ბომონდს არც სხვები ჩამორჩებიან. რამდენიმე წლის წინ მწერალთა კავშირის თაოსნობით ჩატარებულ ახალგაზრდულ კონკურსში (ამაზე ჩემი კრიტიკული წიგნი: „ძირს ომერტა“! საფუძვლიანად მოგვითხრობს) ცნობილმა „გვამებმა“ სახელოვანი უცხოელი მწერლის პლაგიატორი ვერ გამოავლინეს, რადგან აღნიშნული ბესტსელერი წაკითხული არ ჰქონდათ, თუმცა, ბორტს მიღმა დარჩენილი მოთხრობა (იგი საუკეთესო ნაწარმოებების ოცეულშიც ვერ მოხვდა!) უცვლელი სახით გადაეგზავნათ, „ხუმარა“ პლაგიატორმა ავანტიურის შესანიღბად, თავიც არ შეიწუხა! ასეთი სამარცხვინო კაზუსების სიხშირე მოწმობს, რომ ნებისმიერი სფერო (ამჯერად მწერლობა მაქვს მხედველობაში) რუის-ურბნისის მსგავს რეფორმას საჭიროებს, რაც ჩვენი მსოფლმხედველობრივი მოუმზადებლობისა და უპასუხისმგებლობის დასტურია. არასწორი აზროვნებისა და განგებ გამრუდებული სიმართლისადმი მიდრეკილება იმ ფსიქოტიპს მიგვაკუთვნებს, რომლის უმწიფრობა და ზერელობა, საქმის თავმოუბმელობას ათას მიზეზს რომ აბრალებს, შეუიარაღებელი ადამიანის თვალშიც მძიმე ავადმყოფის შთაბეჭდილებას ტოვებს! ბუნებრივია, ამ ფონზე ყბადაღებული კადრის დახავსებულობა თავის დასაძვრენის მორიგი ფანდია, რომლითაც მტერსა და მოყვარეს უცვლელი სიკერპით ვიგერიებთ.

დროა კონკურსის ნებიერთაც სათანადო პატივი მივაგოთ. სამართლიანობა მოითხოვს ეს ყველგან გამარჯვებული ახლები არასდროს გამოვტოვოთ. ვისაც ერთხელ გზა გაეხსნა, ხვდება, რომ კონკურსის სტიქიას თავს ნებით ვეღარ დააღწევს, ანდა, მსუყე პრემიასა და აღიარებაზე უარს ვინ ამბობს?! ეს კატეგორია ინტერნეტელი სკინჰედების მსგავსად, „საიდუმლოდ“ ჩაკეტილი ხვრელების“ გახსნის ხელობას უმალ ეუფლება და წარმატებით გულმოცემული „ამ საქმეზე სპეციალდება.“ არაფრად დაგიდევს, რომ ხშირ გამარჯვებას კომერციის მძაღე სუნი უდის და მის ზეწოლას არაერთი ნიჭიერი მწერალი ემსხვერპლა, ჯილდოსა და აღიარებას გამოდევნებული საქმის მწარმოებელ ხელოსნად (კომერსანტი ძველმოდური სიტყვაა) გარდაიქმნა! კონკურსში ყოველწლიურ მოგებას ხომ თავისი საზღაური ახლავს. კონვეიერის პრინციპი ხარისხის მტერია და, პირიქით. სამაგიეროდ, ძნელადშესაღწევ ჟურნალ-გაზეთების სამყაროს კარი რჩეულებს სტუმართმოყვარედ ეგებება. მთავარია ნავსი გატყდეს და მერე მდარე პროდუქციასაც უდარდელად გაასაღებენ. ეს ჩვენი ცოდვით სავსე ბეჭდვითი ორგანო მაკულატურას ისედაც ვერ აუდის და ვინ დაეძებს, სად რა ქვეყნდება! სხვათა შორის, ამასწინათ, ვარსკვლავური სენით შეპყრობილი ახალთაობელის ქედმაღლობამ იმდენად გამაღიზიანა, მასთან ურთიერთობას წერტილი უსინანულოდ დავუსვი. სახელდობრ, მწერლების დახასიათებისას მან ამაყად განაცხადა, რომ კოლეგებს იმის მიხედვით აფასებს, ჟურნალ-გაზეთებში ვინ რა ინტენსივობით იბეჭდება! ამ პრაგმატული ლოგიკის თანახმად, მთავარი აქცენტი, ხელოვანის ნიჭის ნაცვლად, თავკერძა გამომცემელ-რედაქტორების აუხსნელ კაპრიზზე კეთდება. თურ-

→

მე, გადამწყვეტია, ისინი ვის სწყალობენ! ამგვარი მიდგომა გენიოსების აღმოჩენის შესაძლებლობას ჩანასახშივე ახშობს. ფაქტია, ამისთანებისთვის ალტრუიზმი ხელისშემშლელი კონკურენტების მომრავლების წყაროა და მსგავს „სიბრძნეს“ ამიტომ ებღაუჭებიან?! არ ვიცი, მან ჩემთან დაშორება როგორ გადაიტანა, წელს ხომ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვის რეკორდი ლამის მოვხსენი და, ვინძლო, კიდევ რამდენჯერ გამოვადგებოდი! ეს შემთხვევა არასწორი, უსამართლო მწერლური პოლიტიკის უშუალო გამოძახილია, რომლის მიხედვითაც მწერლებს შორის არსებული იერარქიული სხვაობა სერიოზულ საფრთხესთან ერთად უკიდურეს გაუცხოებასა და არასოლიდარობას აშიშვლებს!

კონკურსში გამარჯვებულებმა და ჟურნალ-გაზეთების რჩეულებმა თუ მხოლოდ ამ პრინციპით იხელმძღვანელეს (გაბღენძილობა ისედაც ეროვნულ თვისებად გვექცა!), უკლებლივ ყველა ეშმაკს უნდა მიეყიდოს. გულს იმით ვიმშვიდებ, რომ დოქტორი ფაუსტუსის შემდეგ პატივცემული მეფისტოფელის გემოვნება დიდად არ შეცვლილა (კუპრის ქვაბის კლიენტურას ჭინკები გადაინაწილებენ!), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს დახლი დაუდგათ და ეგაა!

ამ თვალსაზრისით ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მიერ გამოვლენილი წლის საუკეთესო შემოქმედი (პროზის, პოეზიის კრიტიკისა და თარგმანის ჟანრში) სოლიდური თანხის პარალელურად (ჟიურის წევრების შრომა არც აქ და არც „საგურამოს“ კონკურსში არ ნაზღაურდება, თუმცა, „ჩვენი მწერლობის“ ჟიური ჟურნალის თანამშრომლებისგან შედგება, რაც ვითარებას აბალანსებს) გამოცდილი პროფესიონალების შეფასებებისა და რჩევების კვალდაკვალ მწერლისთვის აუცილებელ უნარჩვევებს ხვეწს და მოწოდებას მზარდი პასუხისმგებლობით ეკიდება, რაც ლიტერატურის განვითარებას განაპირობებს.

წელს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ გამომცემელ-რედაქტორის, ბ-ნ ავთანდილ ბერიძის მრავალწლიანი თხოვნა ყურად ვიღე და „შოთაობის“ კონკურსის ჟიურის წევრობას დავთანხმდი. ამ უპრეცენდენტო გადაწყვეტილებას წინ რამდენიმე ფაქტორი უძღოდა. ბ-ნ ავთანდილს წლებია ვიცნობ და მისი თავგამოდება მესხეთში ეროვნული მწერლობის შენარჩუნებისა და განვითარების თვალსაზრისით, პატივისცემას იმსახურებს. რთულ რეგიონში ქართული სიტყვის დაცვა, აგრეთვე რუსთაველის მუზეუმის დაარსების მრავალწლიანი, შეუპოვარი მცდელობა (სამწუხაროდ, ჯერჯერობით სასიკეთო შედეგი იგვიანებს!) მის მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. ამ თემას წლების წინ საგანგებო სტატიით გამოვეხმაურე, რომელიც პერიოდიკის გარდა ჩემს პუბლიცისტურ კრებულში: „ქართული კორიდა“ გამოქვეყნდა. ამგვარი კეთილგანწყობის მიუხედავად, კონკურსთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიმიღია. ბ-ნ ავთანდილს პირდაპირ განვუცხადე, რომ ნომენკლატურულ მედროვეებთან არაფერი მესაქმებოდა და, მისდამი პატივისცემის მიუხედავად, გამონაკლისს ვერ დავუშვებდი. ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვის გვერდით ვდგავარ და დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობა რამდენად გარანტირებულია, რაც კავშირის მესვეურთა მხრიდან გამორიცხულია. ისინი საპირისპირო პოლუსს ეკუთვნიან. შესაბამისად, ინტერესთა სხვაობის გამო, მათ ამქარში არც არასდროს ჩავწერილვარ და მომავალშიც არ ჩავწერები! ბ-მა ავთანდილმა ამიხსნა, რომ მესამე წელია კონკურსის გამართვის სისტემა შეცვალა. კერძოდ, ჟიურის შემადგენლობის შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი მწერლის საქმიანობის გათვალისწინებაა (შესაძლებელია ჟიურის წევრს პირადად არ იცნობდეს), რაც ნაცნობ-მეგობრების გარემოცვის „გაცხრილვაზეა“ გათვლილი (კონკურსანტთა გვარ-სახელები მეორე კონვერტშია მოთავსებული, რომელიც შედეგების შეჯამების შემდეგ იხსნება). „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა სიტყვა შეასრულა, ჟიურის წევრებმა, საზოგადოებისთვის არც თუ უცნობმა და გამოცდილმა პროფესიონალებმა (აქედან ორ მათგანს – ირაკლი კენჭოშვილსა და თამარ ბარბაქაძეს პირადად არ ვიცნობდი): ტრისტან მახაურმა, ირაკლი კენჭოშვილმა, თამარ ბარბაქაძემ, თემურ შავლაძემ და თქვენმა მონა-მორჩილმა 40 კონკურსანტის (2 გვარ-სახელის მითითების გამო გაირიცხა) შემოქმედება საქმიან გარემოში დააჭაშნიკა და რადგან მარადიული გამარჯვებულების სიმრავლემ აქაც თავი იჩინა (წეღან ამ მექანიზმებზე ვისაუბრე, რასაც გამოცდილი კადრი იყენებს), აუცილებლად მიმაჩნია კონკურსის წესდებაში სპეციალური მუხლი ჩაიდოს, რომელიც უცვლელ პრიზიორებს, გარკვეულ შეზღუდვას დაუწესებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ პრინციპს რეზო ინანიშვილის სახელობის კონკურსის ორგანიზატორი, ჟურნალ „ანეულის“ რედაქტორი, თავად შესანიშნავი პოეტი თამარ შაიშმელაშვილი (წელს მან „შოთაობაზე“ მესამე ადგილი დაიკავა) ემყარება. გამარჯვებულ ავტორს ორი წლის განმავლობაში კონკურსში მონაწილეობის უფლება აღარ გააჩნია. მე ვადას 5 წლამდე გავზრდიდი, რაც, უპირველესად, ისევ გამარჯვებულს წაადგება. ეს კონკურსის სტრუქტურას მოაწესრიგებს და იოლი გამარჯვების აზარტსაც, შესაბამისად, დააბალანსებს.

ჟიურის წევრთა სტატუსი აშკარად დასახვეწია და გამეხარდა, როცა შევიტყე, რომ რეზო ინანიშვილის კონკურსის ორგანიზატორს ამაზეც უფიქრია. მას ჟიურის შრომის ასანაზღაურებლად სპეციალური თანხა დაუწესებია. ეს გარემოება ჟიურის წევრს ღარიბი ნათესავის კომპლექსისგან ათავისუფლებს და პრეცენდენტს ქმნის, კონკურსანტთა გარდა პროფესიონალების გარჯაც დაფასდეს. დროა, საქართველოში ანტიეროვნული ელემენტების გამდიდრების (უკაცრავად და მოღორების) ტრადიციის პარალელურად უანგარო იდეალების ქომაგებსაც ვაგრძნობინოთ, რომ ყურადღებას ისინიც იმსახურებენ, თორემ, ფიროსმანივით კიბის ქვეშ, უპატრონოდ სიკვდილი პატიოსანი ხელოვანების „დაჯილდოების“ უპირობო პრეროგატივად იქცა!

ეჭვიც არ მეპარება, რომ მავანს საქმიანი წინადადებები დიდად არ ეჭაშნიკება, მაგრამ ვისაც რეალური წინსვლა სწადია, საერთაშოროსო გამოცდილებას უნდა დაეყრდნოს, თავკერძობისა და თვითშემოქმედების იმედად რომ ვერ ვწინაურდებით, ამას წყალი არ გაუვა! მარადიულ გამარჯვებულებს ბაირონის მაგალითის გამეორებას ვერ შევკადრებ, მან მეგობარს პირველი ადგილის მოსაპოვებლად საკუთარი ლექსი დიდსულოვნად დაუთმო (მანამდე მუდამ თვითონ იმარჯვებდა) და ძმობილის ტრიუმფი გულწრფელად გაიზიარა. კონკურსანტებს არც დიდი ქართველი ისტორიკოსისა და ერისკაცის ივანე ჯავახიშვილისეული შეგნება მოეთხოვებათ. მან ნიჭიერი ახალგაზრდების წინსვლის სანაცვლოდ, განაცხადა, რომ ფულად ჯილდოს ქვეყნის მომავალი თაობა იმსახურებს, თვითონ კი, რაც გააჩნია, იმას დასჯერდება (ამ კეთილშობილური ჟესტის ამსახველ წერილს, საპროგრამო დევიზის მსგავსად, საზოგადოებას ხშირად შევახსენებდი!). კლასიკოსების ლანძღვა-გინებით გატაცებულ მარადიულ ზეჟიურის ამ მაგალითების დამოწმება ნამდვილად არ აწყენდა, აქამდე სწორედ ამ ღვთისნიერ წინამორბედთა უანგარო სიყვარულმა მოგვიყვანა, რასაც ასე საგულდაგულოდ და ისტერიულად ჩქმალავენ და ბღალავენ!

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად მწამს, რომ სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს! მანამ კი, ისღა დამრჩენია, ნავსი არ გავტეხო და კონკურსში მონაწილეობას გემო არ გავუსინჯო.

იკა ძადაგიძე,
2.10.2015

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ



9 ოქტომბერს, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ცნობილი მეცნიერის ბონდო არველაძის ახალი წიგნის „მწერლის ბედისწერა“ წარდგინება, რომელიც გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მამულიშვილის, გიორგი შატბერაშვილის დაპატიმრების საქმეს ასახავს. აქ ჩეკას შავბნელი ნამოქმედარი, ფაქტებზე დაყრდნობითაა გაცხადებული და საბჭოთა დროის უპარტიო, ეროვნული მწერლის დრამატულ თავგადასავალს გადმოგვცემს. მწვავე თემატიკა ღვაწლმოსილი მწერლის თვალსაწიერში მუდამ აქტუალურადაა წარმოდგენილი, რაც მისი ნაშრომებისადმი დიდ ინტერესს განაპირობებს. კასპის საზოგადოებასთან დიალოგმა ეს დაადასტურა.

ორსაათიანმა შეხვედრამ, გულითადობისა და უშუალობის ფონზე, მტკივნეული საკითხებიც წამოატივტივა, რასაც, შეძლებისდაგვარად, ვუპასუხეთ. მისასალმებელია, რომ ღონისძიებას ადგილობრივი ინტელიგენციისა და ახალგაზრდების გარდა მუნიციპალიტეტის გამგებელიც დაესწრო. რედაქტორის მოწადინებით წიგნის დაფინანსება მანვე ითავა. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს წიგნის რედაქტორი და დამკაბადონებელი ვანო ჯახუა, რომლის ინიციატივითა და დახმარებით კასპში გიორგი შატბერაშვილის პოპულარიზაცია აქტიურად მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში კასპელებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვეს. პედაგოგებისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების, აგრეთვე მუზეუმის ხელმძღვანელისა და მისი კოლექტივის ფონზე, სკოლის მოსწავლეების ინტერესმა ქართული მწერლობისადმი ძალიან გაგვახარა. რეგიონებთან კავშირი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მწერლებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მთელი საქართველო ჩაწყობილი შემადგენლობით, ნომენკლატურის დირექტივითა და დაკვეთით კი არ მოიარონ, არამედ იმის მიხედვით იმოგზაურონ, წლების მანძილზე ეროვნულ მწერლობას ვინ რა შემატა, ქართულ ფასეულობების დასაცავად რა გააკეთა, მწერლობის ღირსების დასაცავად რეალურად როგორ იღვაწა. ბ-ნი ბონდო არველაძე ამის საუკეთესო მაგალითია. მწერლობა, უპირველესად, დიდი პასუხისმგებლობაა. საქმე გამოგაჩენს – ვისი გორისა ხარ! მკითხველს ვერავინ მოატყუებს . საბოლოოდ ის წყვეტს, სიყვარულით რომელი მწერალი დააჯილდოვოს! მოკლედ, 9 ოქტომბერი, გალაკტიონისა არ იყოს, იყო ლომფერი! მალე ამ წიგნის წარდგინება დედაქალაქშიც გაიმართება. გიორგი შატბერაშვილი დიდ პატივისცემას ნამდვილად იმსახურებს.

იკა ძადაგიძე

ᲐᲕᲔᲢᲘᲚ ᲘᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲘ

ბინგოლი

კვლავ მოვიდა გაზაფხული
კეკლუცი,
ქნარად იქცნენ წყაროები
ბინგოლის,
მწკრივად მიდის ქარავანი
აქლემთა,
მეც სატრფო მყავს იალაღზე
ბინგოლის.

ძვირფას სატრფოს სახის ფერი
მწყურია,
წმინდა წყლები, თმის ჩანჩქერი
მწყურია,
მისი ენა, ტკბილი ბგერით
მწყურია,
იმ შავთვალა ირემს დავდევ
ბინგოლის.

წყლები სჩქეფენ, ჩემთვის
თითქოს მდარეა,
წალკოტებში ჩემს თვალს
არ უხარია,
სატრფოს ნატვრით ეს გულიც
მწუხარეა,
აბა, მე რა, ბულბულები
ბინგოლის.

ავბნეულვარ, ეს გზები
უცნობია,
ფირუზტბები, ეს ქვები
უცნობია,
ყარიბი ვარ, ეს მთები უცნობია,
მიმასწავლე, დაო, გზები
ბინგოლის.

ᲐᲨᲣᲚ ᲰᲐᲕᲐᲡᲘ

სად მიხვალ

ტურფა ქალო, ქვეყნის თვალო,
მარჯან-ლალი, ლარი ხარ,
გიმღერ, რახან, უბრად
რად ხარ,
სიმღერა ხარ, ქნარი ხარ.

ქნარო, გზნებით, ძვირფას
თვლებით,
შენის ნებით სად მიხვალ?
მოდი მწველო, მთების შველო,
სანატრელო, სად მიხვალ?

დღეა ცხელი, შენებრ მწველი,
გაუშლელი ვარდი ხარ,
ვარდო ველის, შენს სურნელის
ყნოსვას ველი, დარდი ხარ,

მიხვალ რატომ, მტოვებ
მარტო,
დარჩი სატრფოვ, სად მიხვალ?

რა გწყინს ნეტა, ჩემგან ნეტავ,
ცრემლი სეტყვად ვანვიმე,
როგორც ჩიტი, გამიფრინდი,
თვალზე ბინდით დამწვი მე,

მიჰქრი ვისას, შვილო მთისა,
ჰავასისავ, სად მიხვალ,
მიხვალ რატომ, მტოვებ
მარტო,
დარჩი სატრფოვ, სად მიხვალ?

საიათნოვა

***

ბულბული სტვენს უცხო
მხარეს,
შენ ნუ სტირი, მე ვიტირებ,
შენ ვარდს ეძებ, მე საყვარელს,
შენ ნუ სტირი, მე ვიტირებ!

მოდი, მითხარ გულის დარდი,
დაილოცოს ეგ ნავარდი,
მე სატრფო მწვავს, შენ კი –
ვარდი,
მე ვიტირებ, შენ ნუ სტირი.

ბულბულო გაქვს ხმა ნარნარი,
ორივეს გვწვავს ცეცხლი
ცხარი,
საიათნოვას ცრემლის ღვარით
სურს იტიროს, შენ ნუ სტირი.

თარგმნა
არსენ კარაპეტიანმა

კომენტარები ერთი საგაზეთო სტატიის გარშემო

თამაზ ჩიკვაიძე

გაზეთ „ასავალ-დასავალმა“ (2015 წელი, N30) გამოაქვეყნა **პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელის** სტატია სათაურით: **„ქართველი მეცნიერის სენსაციური აღმოჩენა – შოთა რუსთველისა და მისი დედის ფრესკები ქვაბისხევის მონასტერშია“.**

სანამ დეტალურად განვიხილავდეთ სტატიაში მოყვანილ არგუმენტებს და დასკვნებს, საჭიროდ ჩავთვალე მოკლედ განვიხილო ამ ისტორიული ძეგლის გარშემო გამართული დისკუსია.

ქვაბისხევის მარიამწმინდის ეკლესია მითითებულია 1910-1912 წლებში შედგენილ ბორჯომის ყოფილ საუფლისწულო მამულების გეგმაში და 1912 წელს აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დავალებით ამ ბაზილიკის გეგმა აზომა ხუროთმოძღვარმა **კალაშნიკოვმა**, რამაც ასახვა ჰპოვა **ექვთიმე თაყაიშვილის** მიერ 1924 წელს გამოცემულ ქართული ხურათმოძღვრების ალბომში.

1947 წელს ეკლესია დაათვალიერა აკად. **ნიკო ბერძენიშვილმა** და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა 1964 წელს გამოცემულ ბორჯომის ხეობისადმი მიძღვნილ დღიურში. მან აღნიშნა, რომ ეკლესია ადრეფეოდალური ხანისაა და მისი მარჯვენა (სამხრეთი) ნავი საკურთხევლის გასწვრივ გადატიხრული და მოხატულია. ფრესკაზე გამოსახულია ახალგაზრდა კაცი და მანდილოსანი. ვაჟის გვერდზე წარწერაა „შოთა“, ხოლო ქალის გვერდზე – **„ია“**. იას მარცხენა მხრიდან წარწერა უთუოდ იყო. ერთი ასო **„რ“**, კარგად იკითხება.

აკად. **ნ. ბერძენიშვილის** ცნობების დასაზუსტებლად აკად. **გ. ჩუბინაშვილი** 1948 წელს სპეციალურად ეწვია ქვაბისხევის მარიამწმიდის ეკლესიას და დაგვიტოვა არქიტექტურული თვალსაზრისით ძეგლის დეტალური აღწერილობა. იგი მას VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს, უფრო კი, IX საუკუნისკენ იხრება: და თვლიან, რომ ეკლესიაში ამჟამად დაცული კედლის მხატვრობა ეკუთვნის უფრო გვიან პერიოდს (XII-XIIIს.ს.).

ნ. ბერძენიშვილის და **გ. ჩუბინაშვილის** შემდეგ ეკლესია სხვებმაც ინახულეს (**ს. ცაიშვილი, ა. გაჩეჩილაძე**) და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს.

მარიამწმინდის ტაძრის ფრესკების და წარწერების შესწავლის მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ბორჯომის მკვიდრს, პედაგოგსა და მწერალს ბატონ **გიორგი ზედგინიძეს**. იგი წერს, რომ მარიამწმინდის ეკლესიის ხელოვნური, კარგი განათების პირობებში, გამოჩნდა ასო **„რ“**, შემდეგ მონაცრისფრო ლაქად **„ოსთვ“** (ასომთავრული ასოები). ხოლო სიტყვა თავდება საღებავით **„ლი“**. ამ გზით **გ. ზედგინიძემ** ამოიკითხა დაქარაგმებული **„როსთვლი“**, ანუ **როსთველი (რუსთველი)**.

„ამრიგად, ცხადია, – წერს იგი, – რომ „როსთველი“ მიემართება ფრესკაზე გამოსახულ შოთას და უზრუნველყოფს რომ ფრესკისეული შოთა იგივე რუსთველია“.

გ. ზედგინიძის პუბლიკაციას მოჰყვა 1980 წელს **ზურაბ ჭუმბურიძის** მიერ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია მეტად თამამი სათაურით: **„რუსთველი ქვაბისხევში“.** იგი ეთანხმება გ. ზედგინიძეს და ასკვნის: **„ჩვენს წინაშეა დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველის სიჭაბუკის დროინდელი პორტრეტი დედასთან ერთად“.**

საკითხის აქტუალობის გამო, 1980 წლის 2 ივლისს, ქვაბისხევში გაემგზავრა სპეციალური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: **ალექსანდრე ბარამიძე** (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი), **შოთა ძიძიგური** (მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი), **ელენე მეტრეველი** (ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი), ეპიგრაფიკოსები **იგორ გილგენდორფი** და **თამაზ ბარამიძე.** ექსპედიციამ თან წაიღო ხელოვნურად გამაშუქებელი ხელსაწყოები. ბორჯომში მათ შეუერთდნენ რაიონის ხელმძღვანელები და **გიორგი ზედგინიძე**.

ექსპედიციამ ყურადღებით შეისწავლა ეკლესიის ფრესკები და გაიზიარა ნ. ბერძენიშვილის და გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებები მათი XII-XIII საუკუნეებზე მიკუთვნების შესახებ. ამასთან აღინიშნა, რომ საკამათო წარწერიდან გ. ზედგინიძის მიერ ამოკითხული **„ოსთვ“** არ დასტურდება და კედელზე რუსთველი არ აწერია.

1981 წელს მაისში ძეგლი მოინახულეს პროფ. **პროკოფი რატიანმა, მერაბ ჭუმბურიძემ, გიორგი თევზაძემ** და **გიორგი ზედგინიძემ**. იმავე წლის ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტში“ **პროკოფი რატიანმა** გამოაქვეყნა სტატია **„ისევ ქვაბისხევის მონასტრის ფრესკაზე“**, სადაც მან ვრცლად მიმოიხილა ყველა ადრინდელი მოსაზრება და დაასკვნა: **„დაზიანებული სიტყვა ექვსი ასოსგან შედგება და ის ასე გამოიყურება: ..რ.ლი“**

იგი წერს, რომ გასაშიფრი სიტყვა გვარია და ის „ლი“-ზე თავდება. ბუნებრივია, მისი ბოლოსართი იქნებოდა სადაურობის მაჩვენებელი „ელი“, ისე, როგორც ეს ახასიათებს მესხეთში ძველად გავრცელებულ დიდებულთა გვარებს: თმოგვ-ელი, ჯაყ-ელი, კალმახ-ელი, ფანასკერტ-ელი და ა.შ. თუ გავიხსენებთ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ქვაბისხევის მონასტრის ტერიტორია თამარ მეფის დროს „თორის ქვეყანაში“, ე.ი. თორელთა საგვარეულო მამულში მდებარეობდა, ძნელი არაა გასაშიფრავ სიტყვაში ამოვიცნოთ სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) სახელგანთქმულ დიდებულთა გვარი „თორელი“.

ახლა განვიხილოთ ბატონ **პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელის** ინტერვიუში აღნიშნული მოსაზრებები და დასკვნები. მეცნიერის სტატიაში საერთოდ არ არის საუბარი ფრესკაზე გამოსახული ქალბატონის სახელთან გვერდით არსებულ წარწერაზე, რომლის სწორი წაკითხვა გასაღები იქნებოდა წარმოდგენილი პიროვნებების საგვარეულო კუთვნილების შესახებ. ბატონი პეტრე აღნიშნავს, რომ ფრესკაზე გამოსახული ქალბატონი ღვთისმსახურია და ამიტომ არ არის მის გვერდით მეუღლის ფრესკა. მას აცვია პორფირის, ანუ მეწამული ფერის ტანისამოსი და მიეკუთვნება ჯაყელთა საგვარეულოს. მონასტრის შესასვლელის თავზე, სარკმელთან, მედალიონში ჩასმულია სამი ჯვარი, რაც ნიშნავს სამცხეს და იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რომელ გვარს ეკუთვნის ეკლესია.

ფრესკაზე წარმოდგენილი მანდილოსნის ჯაყელობა სავსებით დასაშვებია, თუ გავიხსენებთ თორელთა და ჯაყელთა ხშირ მოყვრობა-დანათესავებას.

ბექა ჯაყელის და **კახა თორელის „კეთილმოყვრობის“** წიგნიდან ირკვევა, რომ ჯაყელთა და თორელთა სახლები ჯერ კიდევ სარგის I-ის დროს **„ნათესავნი ყოფილან“**. ამ წიგნით ეს ორი ფეოდალური სახლი **„განუყრელნი და მოდაწერილნი და უღალატონი უნდა ყოფილიყო“**. რაც შეეხება იმას, თუ რომელ საგვარეულოს ეკუთვნის ეკლესია, ვფიქრობთ, იგი არა ჯაყელთა, არამედ თორელთა საგვარეულოს ეკუთვნის. ამისთვის საჭიროა გავარკვიოთ თორელთა საგამგებლოს ფარგლები. უნდა გავარკვიოთ, სად გადიოდა საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის. ე.ი. ჯაყელებისა და თორელების საგამგებლოებს შორის.

ისტორიკოსი **ლ. მუსხელიშვილი** თორელთა მფლობელობის ფარგლებზე აღნიშნავს: **„თორელებს XII საუკუნეში ახალციხეც სჭერიათ. ეს ცოტა არ იყოს უცნაურია, რადგან, ამავე დროს, სამცხის სპასალარობის პატივი ჯაყელებს ეპყრათ. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ახალციხე წარმოადგენდა მიჯნას თორელთა და ჯაყელთა სამფლობელოებს შორის. მტკვრის ხეობა, რომელიც ტაშისკრიდან მოყოლებული, ასპინძის ჩათვლით, XI საუკუნის წყაროების ცნობით, სამცხეში შედიოდა. XII საუკუნეში ის უკვე ნაწილობრივ სამცხიდან გამოყოფილ თორში შედის, ხოლო ნაწილობრივ – ჯავახეთის საუფლისწულო დომენშია. ახალციხიდან შესული და თორელთა საგვარეულოდან დანიშნულ ერისთავთ-ერისთავების საგამგებლოს შეადგენს. მხოლოდ XIII-ს II ნახევარში სამცხის ცალკე სამთავროდ გამოყოფის შემდეგ (1266 წ.) ჯაყელები თანდათან აფართოებენ თავიანთ საზღვრებს, სამცხის და ჯავახეთის საზღვარი თანდათან სცილდება მტკვარს და აღმოსავლეთით მიიწევს. ჯაყელთა ხელში ექცევა აწყური და ახალციხე და მთელი მტკვრის ხეობა ღობიეთამდე და რუსთავამდე“.**

„ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორის მთელი მსჯელობა, მოსაზრებები და დასკვნები დაფუძნებულია **„ვეფხისტყაოსნის“** ტექსტზე. იგი თვლის, რომ ტარიელი ეს შოთაა, ხოლო ფრესკაზე გამოსახული მანდილოსანი კი ასმათი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტით რუსთაველი აგვიწერს ქვაბისხევის მონასტრის ადგილმდებარეობას, გვეუბნება თავის ასაკს, თანამდებობას, წარმომავლობას, მამის გარდაცვალებას და დედის სახელს.

რამდენად მეცნიერული დასაბუთებაა ეს არგუმენტები, ეს თვით მკითხველმა განსაჯოს. იგი თვლის, რომ ფრესკაზე გამოსახული **შოთა** ეს ჰერეთის **ერისთავთ-ერისთავი შოთა კუპრია** და იმოწმებს როგორც აკად. **პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“**, ისე 1841 წლით დათარიღებულ გიორგი XIII-ის და **თეიმურაზ ბატონიშვილის** გამოთქმულ მოსაზრებას.

ავტორს გვინდა ასეთი კითხვა დავუსვათ: **– თორელთა კუთვნილ ტერიტორიაზე და მონასტერში რატომ არის ჰერეთის ერისთავთ-ერისთავის – შოთა კუპრის ფრესკა? – იგი ამტკიცებს, რომ ფრესკაზე გამოსახულ შოთა კუპრს გარდაცვლილი ჰყავს მამა და იგი ამიტომ არ არის გამოსახული თავის ოჯახთან ერთად!**

ამის საპასუხოდ ჩვენ მოვიშველიებთ აკად. **პ ინგოროყვას**. „რუსთველიანაში“ განხილულ ჰერეთის ერისთავთა გენეოლოგიას. პ. ინგოროყვა წერს, შოთა კუპრი, ანუ შოთა რუსთველი დაიბადა დაახლოებით 1166 წელს. მისი მამა გრიგოლი, ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი, დაიბადა 1146 წელს და გარდაიცვალა 1210 წელს, იგი მოხსენიებულია ბასიანის ომის მონაწილეთა შორის.

ისმება კითხვა:

ქვაბისხევის მონასტრის ფრესკაზე გამოსახულ შოთას თუ მამა გარდაცვლილი ჰყავს, ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1210 წელს, ხოლო 1166 წელს დაბადებული შოთა უნდა იყოს დაახლოებით 44 წლის (1210-1146 წ.წ.). გავს კი ეს უწვერულვაშო ახალგაზრდა ყმაწვილი ამ ასაკის ადმიანს? ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ასაკის ახალგაზრდას მეფის კარზე დიდი თანამდებობა მიეღო.

სტატიის ავტორი უძვირფასეს მასალად თვლის XIX საუკუნის მოღვაწის თეიმურაზ ბატონიშვილის მოსაზრებას შოთა რუსთაველის ჰერეთის ერისთავთ-ერისთავად მიჩნევის შესახებ. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამაზე ძვირფასია XVII საუკუნეში **არჩილ მეფის** ცნობა შოთა რუსთაველის სადაურობის შესახებ. (**„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“.**

„პასუხი მეფისა მეთორმეტე“.
„ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური
ენა მძიმე,
ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე
შენ ვინძი მე!
უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაყსა
შეუპოვარსა,
რაღას გელაყბო ჯავახსა, ღარიბსა,
შეუპოვარსა“.

როგორც ვხედავთ, არჩილს სცოდნია, რომ შოთა რუსთაველი ჯავახელი მესხი იყო. ამიტომ უწოდებს მას მესხსაც და ჯავახსაც, ხოლო მის ენას ჯავახურს. სწორედ ჯავახელი მესხები იყვნენ თორელები XII-XIII საუკუნეებში და სწორედ ჯავახეთში მდებარეობს რუსთავიც. ვფიქრობთ, XVII საუკუნის მეფეპოეტს უფრო მეტი და ზუსტი ინფორმაცია ექნებოდა თავისი კოლეგა პოეტზე, ვიდრე XIX საუკუნის ქართველ ბატონიშვილს!

პროფესორ **პროკოფი რატიანის** მიერ ფრესკაზე სიტყვის გაშიფვრის შემდეგ, უდავოა, რომ იქ წარმოდგენილი პირები თორელები არიან. ისტორიკოსმა ნ. შოშიაშვილმა 1966 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში **„თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შ. რუსთაველი“** – დამაჯერებლად ახსნა, თუ რატომ იყო შოთა რუსთაველი თორელთა ფეოდალური გვარიდან. მისი აზრით, მესხეთის რუსთავის მფლობელი თორელთა სახლის განშტოების სახელი იყო. მართალია მესხეთის რუსთავი დიდი და მნიშვნელოვანი პუნქტი არ ყოფილა, მაგრამ ისეთი პატარა პუნქტების სახელებიდან წარმოიქმნებოდა მთელი რიგი ფეოდალური გვარების: **ღობიარი, ძამელი, გურკლელი, ჯაყელი, ციხისჯვარელი** და სხვა.

მთელი რიგი არგუმენტების მოყვანის შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მეჭურჭლეთუხუცესობის და რუსთავის მფლობელობის ორიენტირმა შოთა რუსთაველის ვინაობის ძიებაში მიგვიყვანა თორელთა ფეოდალურ სახლთან, რომელიც განსახილველ ეპოქაში ერთდროულად ფლობდა რუსთავსაც და მეჭურჭლეთუხუცესობასაც. სხვა ასეთი საგვარეულო, რომელიც ერთდროულად რუსთავის მემამულეც იყო და მეჭურჭლეთუხუცესის წოდების მფლობელიც, წყაროებით ცნობილი არ არის.

მისი აზრით თორელ-ღობიართა გვარი წარმოიქმნა თორელ-რუსთაველ გვარიდან, ე.ი რუსთაველებმა მიიღეს ღობიარის გვარი რუსთავის მეზობლად მდებარე ღობიეთის მიხედვით. ასეთი შეცვლა ფეოდალური გვარებისა, სამფლობელო ადგილის მიხედვით, ხშირი იყო. ასე მიიღეს **თორელებმა ახალციხელის, ქვეშელის, ღობიარის, რუსთველის** გვარი, **კალმახელებმა – ჯაყელების, ჯაყელებმა – ციხისჯვრელების, თმოგველებმა – უჯარმელების** და სხვა.

რუსთაველებისა და ღობიარების კავშირი, მისი აზრით, მიუთითებს იმას, რომ რუსთავი და ღობიეთი ერთმანეთის მეზობლად მდებარეობდნენ, ახალციხიდან 16 კილომეტრის დაშორებით (მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ღობიეთი, მარჯვენაზე – რუსთავი). ღობიარები წყაროებში ჩნდებიან შოთა რუსთაველის მომდევნო ეპოქაში (XIII საუკუნის II ნახევარი).

იგი ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავისი სახლის, ხელის (მეჭურჭლეთუხუცესობა), მამულის (რუსთავი) ხალხური და ლიტერატურული ტრადიციით და სხვა მრავალი მონაცემებით დადასტურებულია სადაურობის (მესხი) და, ბოლოს, ცხოვრების ხანის (თამარ მეფის დრო) მიხედვით, რითაც უკავშირდება თორელთა საგვარეულოს.

„მე გამოჯიკვებე ჩემი ორი დედის წმინდა რძით“

ჟორა სნხჩიანი

ჟორა სნხჩიანი დაიბადა 1951 წელს ბოგდანოვკის (დღევანდელი ნინოწმინდა) რაიონის სოფელ ჯიგრაშენში. 1967 წელს დაამთავრა ბოგდანოვკის საშუალო სკოლა, ხოლო 1973 წელს – ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. წლების განმავლობაში მუშაობდა ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში, ასევე – რაიონის ახალგაზრდულ და პარტიულ ორგანოებში.

1992 წელს არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, 1996 წლიდან საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების განყოფილების მრჩეველი, სამსახურის უფროსის მოადგილეა. ამჟამად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდათა საკითხების სამსახურის უფროსის თანამდებობაზეა.

1997 წელს აღადგინა და დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირს – „ვერნატუნს“.

მან განსაკუთრებული ამაგი დასდო სომხურ-ქართული ლიტერატურული კავშირის განვითარებას, აქტიურად მონაწილეობს საიათნოვას, „ვარდატონ“-ის, ვაჰან ტერიანის, ჰავასის ტრადიციული სახალხო დღესასწაულების საორგანიზაციო საქმიანობაში. ასევე დაფუძნებული აქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ბოლნის-ხაჩენი) სომეხი კლასიკოსი მწერლის ღ.აღაიანის ტრადიციული სახალხო დღესასწაული (2000 წ.).

ჟორა სნხჩიანი საქართველოს სომეხ მწერალთა და ახალგაზრდა შემოქმედებითი კავშირის ორგანოს – „გამოიღვიძე“ – დამფუძნებელ-რედაქტორიცაა.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, სომხეთის რესპუბლიკის მოვსეს ხორენაცის მედლით, სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ოქროს მედლით, სომხეთის მწერალთა კავშირის მიერ – „ლიტერატურაში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ღვაძლისათვის“ – მედლით, სომხეთის დიასპორის სამინისტროს მიერ – „ვილიამ საროიანი„-ს მედლით.

არის საქართველოსა და სომხეთის მწერალთა კავშირების წევრი.

ჰყავს 3 შვილი და 5 შვილიშვილი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ბატონი ჟორა სნხჩიანი.

– ბატონო ჟორა, ჯავახეთში (და არა მარტო ჯავახეთში) თქვენ ძალიან კარგად გიცნობენ, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტის პირველი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი იყავით და, მეორეც, შესანიშნავი პოეტი ბრძანდებით, ახლა კულტურის სფეროს განაგებთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. რა შეგიძლიათ თქვათ თქვენს მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

– ყველაფერი იწყება ჩემი ადრეული ბავშვობიდან – მამაჩემის განსახიერებული თეატრალური სახეებით, დედის შეკერილი სასცენო კოსტუმებით ...

მამაჩემმა შესანიშნავად იცოდა სომხური და ქართული ლიტერატურა, სცენაზე ნათამაშები ჰქონდა ხევისბერი გოჩა, არსენა და სეირანი, განუმეორებელი მსახიობი და მუსიკოსი იყო. დღემდე ვინახავ თბილისსა და მოსკოვში მიღებულ მის ჯილდოებს, ზეპირად მახსოვს მამაჩემის ბევრი მონოლოგი. მის თეატრალურ დასში იყვნენ სოფლის მასწავლებლები. ასეთი იყო 60-იანი წლების ყოველდღიურობა. რაც კი მიკეთებია დეპუტატობის, პოლიტიკურ ორგანოებში სამსახურის, რეპორტიორობისა თუ სამსახურის უფროსობისას, ყოველთვის ვცდილობდი არ დამვიწყებოდა ის მთავარი, თუ საიდან მოვდიოდი და მუდამ იმის ცდაში ვარ, რომ უფრო ახლოს ვიყო ჩემი ხალხის კულტურასა და ხელოვნებასთან.

– ბატონო ჟორა, თქვენი ლექსების არაერთი თარგმანი ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა, თქვენს შესახებ არაერთ ცნობილ სომეხ პოეტსა და მთარგმნელს უთქვამს, რომ ხალასი ნიჭით დაჯილდოებული პოეტი ბრძანდებით. რა შეგიძლიათ თქვათ თქვენი შემოქმედების შესახებ. როდის დაიწყეთ წერა, ძირითადად, სად ქვეყნდება თქვენი ლექსები, რამდენი წიგნი გამოეცით და რა პერსპექტივები გაქვთ?

– ბევრს არ ვწერ. არ მიყვარს, როცა მწერლები, ჯერ მელანიც არ შეშრობია ნაწერს და მაშინვე რომ აქვეყნებენ ყველაფერს. არ ვჩქარობ, ვცდილობ, გვერდიდან შევხედო ჩემს ნაწერებს, რომლებიც ორივე სამშობლოს სიყვარულის, ბუნების, დიდებული წარსულისა და ხვალინდელი დღის შესახებაა.

არც კი მახსოვს, როდის დავწერე პირველი ლექსი, ალბათ, სკოლის ასაკში, შემდეგ რაიონულ გაზეთში, შემდეგ.... და ამას ვაკეთებ უკვე, თითქმის, 50 წელი. პოეზია და ლიტერატურა, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა ჩემი ცხოვრების ატრიბუტებია. ვარ ლექსების 3 კრებულის ავტორი, ასევე ვწერ ესსეებს.

გუშინდელივით მახსოვს, ოცდახუთი წლის წინ, რაიონში ჩამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მე მაშინ პარტიის რაიკომის ერთ-ერთ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. დამავალეს, თან ვხლებოდი უწმინდესს. თამარ მეფის ხიდთან პატრიარქი დიდხანს იდგა ჩუმად, შემდეგ, მოულოდნელად, მობრუნდა და მკითხა:

– სამსახურის გარდა რით ხარ დაკავებული?

ვუპასუხე: ლიტერატურითა და ხელოვნებით.

– იცოცხლე, კარგს აკეთებო.... მითხრა.

ასეც გავაგრძელე და ამას ვაკეთებ უკვე მთელი ცხოვრებაა – რაიონში, დედაქალაქში, ასევე ჩემს ეროვნულ სამშობლოში – სომხეთში. ათ ტომზე მეტი ხელნაწერი, დაუსტამბავი წიგნი მაქვს – რომანები, მოთხრობები, ესეები, ლექსები, სტატიები, ნარკვევები...

მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანე 300-მდე ლექსი, 5 ესსე, 75 ნარკვევი, ესკიზები, ჩემი კრებულები იბეჭდება და მომავალშიც დაიბეჭდება, ისიც, მხოლოდ თბილისში... იაფია, საიმედო და მოსახერხებელი...

– ბატონო ჟორა, მე თქვენ რამდენიმე ათეული წელია გიცნობთ, ასე ვთქვათ, ახალგაზრდული ასაკიდან და დიდ პატივსაც გცემთ არა მარტო როგორც ნიჭიერ ადამიანს, არამედ, როგორც ქართველი და სომეხი ერების მეგობრობის სიმბოლოს ჯავახეთში. თქვენ შესანიშნავად ხედავთ, თუ რა აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას. ცხადია, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს მათი ინტეგრაცია ქართულ კულტურასთან, კვლავ დაბალია მათი დამოკიდებულება ქართული ენის შესწავლისადმი. ქართული ენის არცოდნა კი მრავალ ბარიერს უქმნის თავად მათ. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს პრობლემა მოიხსნას?

– მე ერთი ნანარმოები მაქვს – „მე ვცხოვრობ, ან...“ . იგი ასე მთავრდება: „მე ძლიერი ვარ, მძლავრი, ვინაიდან გამოვიკვებე ორი დედის წმინდა რძით...“. ეს ჩემი მთელი ნაწარმოების, მთელი ცხოვრების ლაიტმოტივია. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის სწორ გზას ვადექი. ხშირად ლეგენდა „ჰაიოს-ქართლოსი“ აღიქმება, როგორც არარეალური, ზღაპარი. ეს არაა სწორი, ამქვეყნად განა კიდევ არიან ღვიძლი ძმები, რომლებიც წარმოადგენენ ორი ერის წინამორბედებს? არა, არ არიან! ჩვენ ორი ფესვის მქონე ერთი ხე ვართ, ასეთი მსგავსნი და განსხვავებულნი. ეს საბჭოური იდეოლოგია იყო, რომელმაც ყველა აგვრია და აჯაფსანდალივით გვაქცია. ახლა კი ნამდვილი ძმობის საუკუნე დადგა.

ჩვენი ინტეგრაცია მიმდინარეობს ნორმალურად. მთავარი ენაა, ენა კი სიყვარულია. რამდენი ადამიანია დაკავებული ენის შესწავლით – მოსწავლეები, ასაკოვანნი, მოხელეები და ახალგაზრდები... ჩემი სამსახურის ყველა თანამშრომელი ახლა ინტერესით სწავლობს ქართულს. ჩვენს კონცერტებზე, სომხურთან ერთად, ქართული სიმღერებიცაა, ცეკვებიც, მხატვრული კითხვაც... ამ პროცესში ჩართულია ყველა მსურველი, ვცდილობთ, კიდევ უფრო დავაინტერესოთ სხვებიც. სპეციალურად მყავს მოწვეული ქართული ცეკვის მასწავლებელიც და, ახლა, უკვე, ქართულ ცეკვებსაც ვასწავლით. დღითიდღე იზრდება ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც იღებენ განათლებას ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. ასე, რომ, ჩემი აზრით, წინსვლა თვალნათელია.

– ბატონო ჟორა, ჩვენ პატარა ერის შვილები ვართ, ღმერთმა ერთმანეთის გვერდით საუკუნოვანი მეზობლობა გვარგუნა, ცხადია, ასე გაგრძელდება უკუნისი უკუნისამდე. მე, პირადად, თქვენგან, არაერთხელ მომისმენია, სომხური ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლების დროს, რომ მხოლოდ საქართველოშია ყველაზე მაღალ დონეზე ეროვნულ უმცირესობებთან პოზიტიური დამოკიდებულება, მაგრამ, სამწუხაროდ, თითო-ოროლა ადამიანი მაინც გამოჩნდება ხოლმე, ვინც წყლის ამღვრევას ცდილობს. თქვენი აზრით, რა ამოძრავებთ მათ, რა უნდათ, საერთოდ, რის მიღწევას ცდილობენ? თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი იქნებ კიდევ ერთხელ დააფიქსიროთ.

– 10 წელი ვიმუშავე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ერთაშორის ურთიერთობების განყოფილების უფროსის მოადგილედ. საქართველოში რამდენიმე ათეულზე მეტი ეროვნული საზოგადოება იყო და არის. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია სომხური დიასპორა – დიდი ან მცირე. საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ მსოფლიოს არცერთ სხვა ქვეყანაში სომხები (და არა მარტო სომხები), ისე უკეთესად არ გრძნობენ თავს, როგორც საქართველოში, საუბარია არა მხოლოდ სომხურ რაიონებზე, არამედ მთელ საქართველოზე! ჩვენ საქართველოს ნამდვილი და ღირსეული შვილები ვართ. დიდი წვლილი გვაქვს შეტანილი ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში, ქვეყანა კი ჩვენ გვექცევა, როგორც ღვიძლებს. ეს, ალბათ, იმის გამოა, რომ ჩვენ ყოველთვის კეთილი მეზობლები ვიყავით. ერთმანეთს მხარს ვუჭერდით ძნელბედობის ჟამს, გვქონია საერთო სამეფო და ჯარი. ახლა კი, მით უმეტეს, კიდევ უფრო უნდა დავუახლოვდეთ ერთმანეთს, ვინაიდან ცოტანი ვართ. რა ვქნათ, თუ დიდი პოლიტიკის შედეგად საქართველო და სომხეთი აღმოჩნდნენ სხვადასხვა პოლუსზე. გავიხსენოთ ჩვენი დიდი ილიას, თუმანიანის, გალაკტიონის, ისაჰაკიანის, გამსახურდიასა და სხვათა მხატვრული გამონათქვამები ჩვენი ორი ერის შესახებ... და თუ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ხალხის არსებობას ხედავენ ერთმანეთის უგულვებელყოფასა და გამორიცხვაში, უნდა გაიგონ და შეიგნონ, სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებენ ჩვენი ორი, კეთილმოსურნე, ერთმორწმუნე ერის მომავალს...

– დრო იყო, ჩვენი ორი ერის წარმომადგენლები ერთმანეთის ლიტერატურულ, კულტურულ, სპორტულ ცხოვრებას ძალიან კარგად იცნობდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ სომხეთშიც და საქართველოშიც ხშირად იმართებოდა კულტურის დღეები ჩვენი დიდი მეგობრობის ნიშნად, მაგრამ, ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, მსგავსი რამ აღარ გამართულა, თუ არ ჩავთვლით სახელისუფლებო შეხვედრებს (თუმცა არა ამ კუთხით). ასევე ხშირი იყო საზღვრისპირა, დამობილებული ქალაქების დელეგაციების შეხვედრები, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ორი ერის კიდევ უფრო დაახლოების პროცესებს. თქვენი აზრით, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს პროცესები აღდგეს. რა როლის შესრულება შეუძლია ჯავახეთში მცხოვრებ მწერლებს და კულტურის მოღვაწეებს ამ კუთხით?

– დიახ, მართალი ბრძანდებით. სომხეთი დამოუკიდებლობის პროცესშია და ჩვენ როდესაც შევხვარდით ამ დამოუკიდებლობას, დანაკარგებიც განვიცადეთ. ბევრი კავშირი დაიკარგა და ბევრ სფეროში შეწყდა თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას შორის.

პირველნი, საბედნიეროდ, ჩვენი მწერლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც აღადგინეს დანაკარგი. აწ გარდაცვლილმა, ცხონებულმა ლევონ ანანიანმა ამ დროის განმავლობაში მათ თბილისში გამოაქვეყნეს 120-ზე მეტი საავტორო წიგნი და კიდევ 15-20 – ერევანში. მოხარული ვარ, რომ უმეტესობას პირადად გავუწიე რედაქტორობა.

კარგი იქნებოდა, რომ გვქონოდა საშუალება და ქართულად გამოგვეცა სერია – „ვერნატუნ“ და „კამურჯ“, საბავშვო კრებული „ზართონქ“. „ვერნატუნის“ ერთ ნაწილს ვბეჭდავთ ქართულად, გვაქვს მთარგმნელობითი განყოფილება – შემდგარი ქართველი სახელოვანი მწერლებისა და საუკეთესო თანამედროვე ლიტერატორების მონაწილეობით. ისინი ქართველი და სომეხი ხალხების უწყვეტი მეგობრობის, სიყვარულისა და ძმობის ძეგლებია.... სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან სუსტია რეგიონის სომეხი მწერლების კავშირი ქართველ შემოქმედებთან, ვფიქრობ, ბატონო ავთანდილ, იქნებ ერთად, თქვენი თანადგომით, შევადგინოთ რაიმე პროგრამა მათ დასაახლოვებლად.

– ცხადია, ჩვენ ერთმანეთის შემოქმედება კარგად რომ ვიცოდეთ, ამისათვის გადაუდებლად საჭიროა მთარგმნელობითი მუშაობის გაუმჯობესება, თქვენი აზრით, ამ ეტაპზე, ვიდრე რაიმე გლობალურ პროგრამას განვახორციელებთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, ამ კუთხით არსებული პრობლემები ნაწილობრივ მაინც რომ დავძლიოთ?

– თარგმნაზე უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ, თუმცა, სათქმელი კიდევ უფრო მეტია. გავიხსენოთ თბილისის შესანიშნავი მთარგმნელობითი ბიურო, რომელმაც ქართველ მკითხველს აჩუქა სომხური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ჰრაჩია ბაირამიანის, ანაჰიტ ბოსტანჯიანის, მაყვალა გეურგოვას, საჰაკიანისა და სხვათა წყალობით შესანიშნავი წიგნების საუკეთესო თარგმანები დაიდო სომეხი მკითხველის მაგიდაზე, ხოლო გივი შაჰნაზარმა სომხური ლიტერატურის ასევე საუკეთესო ნიმუშები შესთავაზა ქართველ მკითხველს, ორიგინალის დონეზე.

გადაუდებლად საჭიროა გავაძლიეროთ ქართველოლოგია სომხეთში და არმენოლოგია – საქართველოში. თუმცა, არსებობს შესაბამისი ცენტრები, მაგრამ ახალი თარგმანები მაინც ძალზე ცოტაა. მათი რიცხვი გაიზრდება თუ სახელმწიფო იზრუნებს და ეს საკითხი იქნება ყურადღების ცენტრში. ის, თავის დროზე, ხელისუფლების თანადგომით გაკეთდა და მათი ხელდასმითაა, რომ სომხურად აჟღერდა დიდი ილიას, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, მურმან ლებანიძის, დღევანდელი მწერლების – რევაზ მიშველაძის, მაყვალა გონაშვილისა და სხვათა ქმნილებები.

– მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება მაინც თქვენი სისტემის მიზანმიმართულ მუშაობაზეა დამოკიდებული. რას იტყვით თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ საბიბლიოთეკო და კულტდაწესებულებების მისამართით, რა კეთდება, რა პერსპექტივები გაქვთ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის?

– მგონი, აღვნიშნე, რომ დღეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლ-

გაგრძელება მე-12 გვ. ▶

ამირანის გორა და მის შესახებ თქმული ჯავახეთში

ამირანის გორა მდებარეობს ჯავახეთში, ქ.ახალქალაქის აღმოსავლეთ მხარეზე, ნახევარი ვერსის დაშორებით მისგან. იგი ლამაზი, კოხტა, პატარა მთა არის, კვერცხივით მრგვალი, რამდენიმე ასი მეტრის სიმაღლისა. იგი მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ბუნებით კი არ არის ეს გორა შექმნილი, არამედ, თითქოს ხელოვნურად აუგიათო.

მისი გვერდები (ფერდობები) ზაფხულობით და შემოდგომითაც კარგ საძოვარ ადგილს წარმოადგენს. გორის თავზე არის კურდღლისა და მელიის სოროები, რის გამოც ამირანის გორას ახალქალაქელები (და არა სხვები), თათრულის გავლენით, „თავშან-თავს“ უძახიან, რაც ქართულად რომ ვთარგმნოთ, „კურდღლის გორა“ გამოვა.

ამირანის გორის, ანუ, როგორც ჯავახები უწოდებენ (გორის შესახებ ბიძაჩემმა, მამის ძმამ ბასილ გოგოლაძემ და, აგრეთვე, ევგენი გოგოლაძემ – 68 წლის) მიამბეს შემდეგი თქმულება:

იყო ერთი ფუხარა (ღარიბი) ცოლ-ქმარი. ამათ გაუჩნდათ ერთი ვაჟი შვილი, ჩაცვივდნენ დედ-მამა ხალხში, რომ შვილი მიენათლებინათ, მაგრამ არვინ მოუნათლა. აბა, ღარიბ კაცს ვინ მოუნათლავდა შვილს. დაუწყეს ხვეწნა ღმერთს: „ღმერთო, შვილი მოგვეცი და მომნათლავი კი ვერ გვიშოვიაო“. შეებრალა ღმერთს ცოლ-ქმარი, ჩამოვიდა ციდან ქრისტე და იმან მოუნათლა მათ შვილი და სახელად ამირანი დაარქვა. გავიდა ამის შემდეგ კარგა ხანი, ეს ამირანი დიდი გახდა, დავაჟკაცდა, დიდი მოჭიდავე გამოვიდა, სულ აღარავინ უძლებდა, ვისაც კი დაეჭიდებოდა. მაშინ თავის ნათლიას – ქრისტეს უთხრა: „ისეთი ვინმე დამაჭიდე, რომ მე გამიმაგრდესო. იმანაც ერთ ქოხზე მიუთითა: „მიდი იქა და დაგაჭიდებენო. მივიდა ამირანი იქა, თურმე საფუტკრე იყო. გამოცვივდნენ ფუტკრები, დიეხვიენ ამ ამირანს და იმდენი უკბინეს, რომ მინაზე წააქციეს. შეებრალა ქრისტეს თავისი ნათლული და ფუტკარი მოაშორა.

გავიდა ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანი. ამირანს დაავიწყდა თავისი დამარცხება, ვერვინ იშოვა თავისი მჯობნი და ისევ ნათლია ქრისტეს სთხოვა: „ან ვინმე მიშივნე, რომ მე გამიძალდეს, ან ახლა შენ თითონ დამეჭიდეო“.

– „როგორ თუ ეს გამიბედეო“, – თქვა ქრისტემ: აიღო და ზედ გორა წამოამხო; გვერდიდაც მიუბა პატარა ფინია – ძაღლი, თავისი ხმალიც იქვე გვერდით, კლდეზე დაუკიდა, პური მისცა, თვითონ კი მსხვილი ჯაჭვით მიაბა კლდეზე და გორაც ზედ წამოახურა.

ამირანის კარები სამ წელიწადში ერთხელ იღება, იმ ადგილს აღდგომის დღეს და მერე ისევ იხურება. ერთხელ, ამირანის გორაზე, ერთი მენახირე ნახირს აძოვებდა და დაინახა, რომ კაცი ჯაჭვით აბია, გვერდითაც პატარა ძაღლი ჰყავს და იქვე ახლოს ხმალი უკიდია და თეთრ-თეთრი პურებიც უწყვია. ამ კაცმა რა იცოდა თუ ამირანი იყო, შეეშინდა და უკან მობრუნდა. ამირანმა უთხრა: „ნუ გეშინია, შემოდი შიგნითო“. მენახირეც შევიდა. ამირანმა უთხრა: „აიმ ხმალს ხომ ხედამ, ერთი შენი დღეგრძელობისთვის, აქ მომიტანეო“. მივიდა მენახირე ხმლის მოსატანად, მაგრამ ადგილიდინაც ვერ დასძრა, ისეთი დიდი და მძიმე იყო.

–„რახან ვერ მომიტანე, – უთხრა ამირანმა, – შენ ხმალს ხელებით მოეჭიდე, მე ფეხებიდან გამოგწევ და მაშინ მოერევიო“. მივიდა მენახირეც და ხელებით მოეჭიდა ხმალს. ამირანმა გამოსწია ფეხებიდან და ეს კაცი კინაღამ შუაზე გაწყდა და დაუძახა: „ვაი, ვაი, გავწყდი, გამიშვიო“. ამირანს მენახირე შეეცოდა და ისევ გაუშვა.

მერე მენახირეს უთხრა: „პური გაქვსო„? – „როგორ არ მაქვსო“. – უპასუხა მენახირემ. აბა, მაჩვენეო. იმანაც მისცა ერთი პური. ამირანმა მოუჭირა პურს ხელი და სისხლი გამოადინა და მენახირეს უთხრა: „რა პურსა სჭამთ თქვენ, სისხლის პურსაო და ახლა თავის პურს მოუჭირა ხელი და იქიდან კი რძე გამოადინა. აი, ასეთი პური უნდა ჭამოთო. მერე უთხრა: „მოდი, ერთი სიკეთე მიყავ: წადი, მოიტა ათულლიანი გუთნის ღვედი (ჯამბარა), რომ ხმალს მიაბა და მეც ჩემთან მოვითრიოო. მხოლოდ ქალებს არ გააგებინო და თუ მაინც გაიგეს და გითხრეს, რათ მიგაქო, არაფერი უთხრა, ხმა არ ამოიღო და უკან არ მოიხედო, თორემ კარები ამომექოლებაო.

– „კარგიო“ – უთხრა მენახირემ, ადგა და წავიდა. მივიდა სახლში, აიღო ღვედი და ისევ ამირანისკენ წავიდა, ცოლმა მაინც დაინახა და ჰკითხა: „რათ გინდა ეგ ღვედი, რათ მიგაქო. მენახირემ ხმა არ გასცა. ცოლს გაუკვირდა ეს. კვლავ ასე არ უქნია, ასე რად ქნაო და უკან გამოუდგა ქმარს და გაუჭირვა: „სად მიგაქ ღვედიო“. მაგრამ მენახირეს ახსომდა ამირანის ნათქვამი და არც ხმას არ სცემდა და არც უკან მიუხედია. ცოლი არ მოეშვა და ამირანს კარებამდე მიჰყვა. ცოლი კიდევ შეეკითხა. მენახირემ ვეღარ მოითმინა, მიიხედა მისკენ და უთხრა: ღმერთმა დაგწყევლოს, აქ რად მოხვედიო და ის იყო უნდა შესულიყო ამირანთან, რომ კარებიც აიქოლა. ამირანმა გაიგო ქალის ხმა და გამოსძახა: „გარეთ თუ როგორმე გამოვედი აქედან, ქვეყანაზე რაც ქალები ხართ, სულ უნდა ამოგწყვიტოთო და, კიდევ, მჭედლებიო.

პატარა ფინია ძაღლი იმ ჯაჭვს მთელი წელიწადი ლოკამს და ლოკამს, ის არის, რომ ჯაჭვი ილევა და უნდა გაწყდეს, მაგრამ ამ დროს უსწრებს წითელი პარასკევი, ამ დღეს სომეხი მჭედლები დილაადრიან ჩაქუჩს დაკრამენ ღამე რკინას და ჯაჭვიც ისევ მთელდება. ქართველი მჭედლები კი ამ დღით რკინას ძალიან ერიდებიან და ამირანიც იმიტომ სომეხ მჭედლებს ემტერებაო.

ნაამბობი სოფელ ბარალეთში,
6 ქრისტეშობის თვეს. 1937 წელი,
70 წლის გლეხ
ბასილ ზაქარიას ძე
გოგოლაძის მიერ

რჯული არ შეუცვლია

(ნამდვილი ამბავი)

გასული საუკუნის ოციან წლებში თურქი მოძალადეები თარეშობდნენ ჯავახეთში. იტაცებდნენ ცხვარს, ძროხას, ცხენს და არც ადამიანებს ზოგავდნენ. ერთ მშვენიერ დღეს სოფელ ბარალეთში მცხოვრებ მშვენიერ ქალიშვილს – ელენე გოჩაშვილს შებინდებისას კოკით წყალი მიჰქონდა, თავს შეიარაღებული თურქები დაესხნენ, შეკოჭეს, ცხენზე შესვეს და ხერთვისისკენ გასწიეს, სადაც, მაშინ, ამ მხარის ფაშა იჯდა. ორი-სამი დღის შემდეგ იმავე ყაჩაღებმა მოიტაცეს სოფელ ხიდიჯვრიდან ულამაზესი ქალიშვილი – მარიამ ზედგინიძე (სოფელი ხიდიჯვარი ბარალეთიდან სამხრეთით ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. უკანასკნელად 1934 წელს სამხედროებმა დაანგრიეს მისი ეკლესია და ნასოფლარიც პირისაგან მიწისა აღიგავა).

ყაჩაღებმა მეორე მოტაცებული ტყვეც ხერთვისის ფაშას მიჰგვარეს. ახალგაზრდა მანდილოსნები 17-18 წლის ასაკისანი იყვნენ. თურქმა მოძალადეებმა მოინდომეს ქართველი გოგონების გამაჰმადიანება და თათრის ცოლებად გახდომა. ბევრი წვალების შემდეგ მარიამ ზედგინიძე გაამაჰმადიანეს და საწადელს მიაღწიეს, ხოლო, რაც შეეხება ელენე გოჩაშვილს, ყოველგვარმა ცდამ – შეეცვალა რჯული და თათრის

ცოლი გამხდარიყო, უშედეგოდ ჩაიარა. ბოლოს ხერთვისის ფაშამ ბრძანა – ცალი ძუძუ მოეკვეთათ და ისე გაეშვათ შინ. ბრძანება სისრულეში მოიყვანეს და მკერდმოკვეთილი ელენე სახლში დააბრუნეს. სოფლელებმა გოგონას უმკურნალეს, თუმცა, მკურნალობას საკმაოდ დიდი დრო დასჭირვება. განკურნებული ელენე წალკის რაიონის სოფელ რეხაში გაუთხოვებიათ. სულით ძლიერ და პირად მშვენიერ ქალს ცალი ძუძუთი ოთხი ვაჟკაცი გაუზრდია. ელენე გოჩაშვილის ნაშიერი გამრავლდა და დღესაც ნათესაურ კავშირში არიან ბარალეთის ძირძველ გოჩაშვილების გვართან.

მთხრობელი **მ.მურჯიკნელი.**
91 წლის. **ა. აბრამიძე**, *ექსპედიციის*
რვეული №1, გვ.10

თოკი მაგრად გამიჭირეთ!

სოფლელებმა ორი ქურდი შეიპყრეს და სახალხო სამსჯავროზე ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. მეტად თავისებური სასჯელი მოიგონეს, – გადაწყვიტეს, ქურდები ორჯერ დაეხრჩოთ. ამიტომ სახრჩობელა მდინარეზე გამართეს. სიკვდილმისჯილნი ნავით მიიყვანეს სახრჩობელასთან. ერთი ქურდი რის ვაივაგლახით ჩამოჰკიდეს. როგორც კი ნავი განზე გააცურეს, ქურდს თოკი შეეხსნა და მდინარეში ჩავარდა. წყალში ჩავარდნილმა „იხვივით“ გასცურა მდინარე და მეორე ნაპირზე ამოჰყო თავი. ახლა მეორე დამნაშავე აიყვანეს სახრჩობელაზე. ქურდი ხალხს შეეხვეწა, თოკი მაგრად გამიჭირეთ, თორემ, ცურვა არ ვიცი, მეშინია, თოკი არ გაიხსნეს, მდინარეში არ ჩავარდე და არ დავიხრჩოო. ხალხმა ხარხარი ატეხა და მეორე ქურდიც გაათავისუფლეს.

მთქმელი იგივე **(მ.მურჯიკნელი)**

იმედი

იყო ერთი დიდი ოჯახი, შეძლებული, სულზეც მრავალი. ოჯახის უფროსი ხანდაზმული, გონიერი, წინდახედული და სამართლიანი მოხუცი იყო.

ამბეკის სიზმარში წვეროსანი მოხუცი გამოეცხადა და უთხრა:

– შენი ოჯახი უნდა გავანადგუროო. აირჩიე ერთი რამ, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასიაო.

– რა დაგიშავე, უფალო, ასე მწარედ რომ მსჯი. მსხვერპლად მიიღე ჩემი სისხლი, ოჯახზე კი ხელი აიღე, – ეაჯებოდა მოხუცი.

– არ ვიცი, მაგრამ ის მოხდება, რაც გითხარი, – ჩაესმა მოხუცს წვეროსანის გამყინავი ხმა.

სიზმრის შემდეგ ამბეკის აღარ უძინია.

გათენდა, ოჯახი შეყარა, სიზმარი უამბო და რჩევა ითხოვა ოჯახის თავმა. ყველა დაღონდა. მეორე ღამესაც სიზმარი, იგივე მოხუცი და იგივე კითხვა:

– რა ჰქენი? აირჩიე თუ არა, რამე? – უთხრა სიზმარეულმა.

– ხვალე შენი ოჯახი პირქვე დაემხობა, ქვაქვაზე აღარ დარჩება. მითხარი, რა აირჩიე?!

მოხუცი პირქვე დაემხო და ცრემლიანმა მავადრებელი ხმით შეჰღაღადა.

– ოი, მამაზეციერო, რა დაგიშავე, რომ ასე სასტიკად და მკაცრად მექცევი?!

– არ ვიცი, ნათქვამი შესრულდება, აირჩიე, რაც გსურდეს.

ოჯახი კვლავ შეიყარა, ისევ დუმილი და ცრემლი. ხმას ვერავინ იღებდა.

ოჯახს ახლად მოყვანილი რძალი ჰყავდა, წარსდგა იგი მამამთილის წინაშე, დაარღვია ოჯახში უმძრახობის ტრადიცია და მოახსენა: „მამავ ბატონო, ამაღამაც თუ ის მოხუცი გამოგეცხადათ, არჩევანი გაკეთებულია.

– შვილო ჩემო, ამ დიდ ოჯახიდან მითხარი, რა ავირჩიო?

– რა და არავინ, ხომ ასე თხოულობს წვეროსანი? – დიახ, აირჩიე, რაც შენთვის ძვირფასია, ასე მითხრა ორჯერ.

– მაშ, მოახსენე, რომ იმედს ვირჩევთ, იმედს, იმედი ხომ ყველაფერია.

მესამე ღამეს ისევ წვეროსანი: – რა ჰქენი? აირჩიე თუ არა რამე?

– ავირჩიე.

– რა აირჩიე?

– იმედი!

– შე დალოცვილო, რახან იმედი აგირჩევია, მაშ, რაღა წაგართვა? უთხრა წვეროსანმა მოხუცს და გაუჩინარდა.

ამჯერადაც ასე იყოს

ბარალელ ასლანას ცოლი მოუკვდა. სათნო, თვალადი, ტანადი ქალი იყო ცხონებული. ასლანამ უდროოდ დაღუპული ცოლი იგლოვა, როგორც წესია. ბევრი იტირა და ივიშვიშა.

გავიდა ხანი და მეორე ცოლი მოიყვანა... მოუკვდა მეორეც. შეხედულებით პირველ ცოლს სჯობდა ის ცხონებული... ასლანმა მეორე ცოლიც იტირა, იცრემლა, ივიშვიშა, იგლოვა და მოიყვანა მესამე.

მესამე ცოლი ერთი უშნო, დაბალი და კოჭლი ქალი იყო. სოფლელებმა უთხრეს ასლანს:

– ეგ რა ჰქენი, ასლან, სად შენი პირველი ცოლები და სად ეგ ქალიო?

– ამჯერადაც ასე იყოს! – უპასუხა ასლანმა.

ჯავახი და მედუქნე

ჯავახი თბილისში ჩავიდა საყიდლებისთვის. ერთ დუქანში შევიდა, სადაც ოსმანა მედუქნეს ფართალი დახლზე გაეშალა და ჰყიდდა.

ჯავახს ღორის ერბოს (ქონი) ყიდვა უნდოდა და მედუქნეს ჰკითხა:

– ღორის ქონი არ გაქვსო?

– არაო, – უპასუხა დაცინვით მედუქნემ. – ჩვენ სულელებს ვყიდითო!

ჯავახი განზე გადგა, დუქანში მიიხედ-მოიხედა, ხელი ხელზე დაიკრა და მედუქნეს უთხრა:

– პაჰ, პაჰ, პაჰ, რა ვაჭრობა გქონია, ერთიღა დარჩენილხარო.

ღმერთმა ყარსისგან დაგვიფაროს

ჯავახეთის ერთ სოფელს მეწისქვილე ჰყავდა. ეს მეწისქვილე ისეთი ძუნწი და უჟმური კაცი იყო, რომ მეტი არ შეიძლებოდა. ერთ ჯამ საფქვავს უმინდოდ არ დაუფქვავდა სოფლელებს. წისქვილის მინდს საფქვავის დაყრამდე იღებდა. გაწამებული ჰყავდა საწყალი სოფლელები. ამიტომ ისინიც, დიდიან-პატარიანად, ღმერთს ეხვეწებოდნენ: – ღმერთო, ჩვენს მეწისქვილეს დღე შეუმოკლე და მაგ გაუმაძღარი ვეშაპის ხელიდან გადაგვარჩინეო. არ ვიცი, ღმერთმა უსმინა თუ არა სოფლელებს, მაგრამ, ის კი ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოკვდა მეწისქვილე სანდრო. სოფელმა შვებით ამოისუნთქვა.

– ახლა კი, თავისუფლად დავფქვავთ საფქვავსო, – ამბობდნენ.

სანდრო მეწისქვილეს ადგილი მისმა ვაჟმა დაიკავა.

ძუნწობასა და გაუტანლობაში შვილმა მამას ერთი ადლით გაუსწრო. როგორც კი წისქვილს საფქვავით დატვირთული ურემი მიადგებოდა, მესისქვილის შვილი ჩანახით ხელში ურმის თავთან დაერჭობოდა, საფქვავს წისქვილში არ შეატანინებდა, სანამ მინდს გარეთ, ურემზევე არ აიღებდა.

სოფელი თავში ცემით მოთქვამდა: „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო. ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარეო“!

ერთგულ რომ დავიმახსოვრო

იმ შემოდგომით, ადრე მორჩა სარჩო-საბადებლის დაბინავებას ანდრო კეთილაშვილი. კალოც გალეწა, საფქვავიც დაფქვა, თივაც მოზიდა და ბოსელთან დაზვინა, ტყეც ორჯერ მოიარა და ზამთრისთვის საწვავი მომმარაგა. იჯდა თავის კერასთან და ყალიონს აბოლებდა, საშინაო საქმეებით ერთობოდა.

ერთ დღეს მასთან მეზობელი პეტრე მივიდა და კევრი სთხოვა.

– მოგცემ, როგორ არ მოგცემ, შე კაცო, კევრს, ოღონდ როგორც კი მორჩები ლეწვას, კევრი მაშინვე მომიტანე , – უთხრა ანდრომ.

– რას ამბობ, მაგაზე გაფრთხილება რად მინდა, – უპასუხა მეზობელმა.

– კარგი, მაშ წაიღე და შენი ნათქვამი არ დაივიწყო, – უთხრა ანდრომ, თან კევრის ურემზე დადებაში მიეშველა.

მეზობელმა კევრი წაიღო. კალოობა დაამთავრა... ნათხოვარი კი პატრონს არ დაუბრუნა. დადგა ზამთარი, გავიდა გაზაფხული, ზაფხული, მოვიდა ისევ შემოდგომა, დაიწყო კალოობა. ანდრომ კალოს ადგილი მოთიბა, მიასწორ-მოასწორა, კარგად მორწყო და ზედ ბზე მოჰფინა, შემდეგ კი კევრები, უღლები და ცოცხები იქვე, კალოს ახლოს, ფარდულის წინ დაალაგა, რომ ხვალ დილით კალოში ძნა ჩაეშალა და მისთვის მიესია კევრებიც და ფიწლებიც, ორთითებიც და ნიჩბებიც, არნადებიც და ცოცხებიც.

ანდრომ კევრებს თვალი გადაავლო, ნახა, რომ შარშან პეტრეს მიერ წაღებული კევრი აკლდა, გულს ცეცხლი შემოენთო, ისედაც გულკუჭქჭა* ანდროს სიბრაზემ უმატა.

– კაცო, ეს რა ხალხი ყოფილან, შენი ჭირიმე, ერთი წლის წინა, კევრი ვათხოვე და ჯერ არ მოუტანია! ჰაი, ტა, ტა, ტა! წყრებოდა ანდრო და მეზობლის სახლისკენ გზას მიიკვლევდა.

– პეტრე, პეტრე, გამოიხედე, კაცო, გარეთ! – შესძახა ანდრომ გულჯავრიანად მეზობელს. კარებში პეტრე გამოჩნდა, ანდროსკენ წამოვიდა და მიესალმა, მაგრამ ანდრომ სალამზე არც კი უპასუხა.

– შე კაი კაცო, შარშან კევრი გათხოვე, გითხარი, დროზე მოიტანეო! ეს არის შენი მოტანა?! მითხარი, ჰა! მითხარი, ჰა!...

– აგერ, შენი კევრი, წუხელის გავამზადე, ვთქვი, გადავიტან-მეთქი, მაგრამ, გვიანი იყო, ვიფიქრე, ეძინება და ხვალ გადავიტანო! რა გაჯავრებს, კაი კაცო, შენი კევრი ხომ არ შემიჭამია?!

– შემიჭამიაო? – ისევ გაცეცხლდა ანდრო, – ეტყობა, შეჭმასაც უპირებდი, შე უქნარავ, შენა! ამას რომ ამბობდა, ანდრომ ტანსაცმელი გაიხადა, წელზევით გატიტვლდა. ტანისამოსი პეტრეს მიაჩეჩა, მტვრიან-ჭუჭყიანი კევრი, ქვების მხრიდან, მოიკიდა და პეტრეს უთხრა:

– უკნიდან მომყევ, შე არდასაცალებელო!

წინ ანდრო მიდიოდა, ტიტველ ტანზე მჭრელი, შავი ქვებით კევრმოკიდებული და რაღაცას, თუ ვიღაცას ემუქრებოდა. უკნიდან გაოგნებული პეტრე მისდევდა, რომელსაც ანდროს ტანისამოსი იღლიაში ამოეჩარა და გაცივებული თვალებით სადღაც შორს, ერთ წერტილს მიჩერებული ყავარჯენივით მიაბაკუნებდა.

სოფელი უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდა, დიდი და პატარა, მათ სანახავად და ამბის გასაგებად გარბოდა.

ანდრო სოფლის ცენტრისკენ მიდიოდა, სადაც სოფელი ამა თუ იმ საკითხს წყვეტდა. ანდრომ ადგილამდე რომ მიაღწია, კევრი კედელზე მიაყუდა, შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა და ხალხიც გარს შემოერტყა.

– რა ამბავია, ანდრო, ეს რა გიქნია, რა დღეში გაქვს ზურგი, სულ დასერილი და დასისხლული?!

– რა მიქნია და ის მიქნია, რომ ამისთანა უქნარებს (თითით პეტრეზე ანიშნა), ხელი არასდროს არ გაუმართოთ! ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ კარგად დავიმახსოვრო, რათა, პეტრესნაირებთან არ ვიმეზობლო.

გულკუჭქჭა – გულფიცხი

გიორგი გოგოლაძე, 1937 წელი
მოგვაწოდა **ციური ლაფაჩმა**

ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილი

გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბრედიხინის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, პროფესორი ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილი.

ვიქტორ ჯაფიაშვილი დაიბადა 1924 წლის 20 ივნისს, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში. ამ პატარა სოფელში გაატარა ბავშვობა და ყრმობა, იყო სოფლის ფოსტალიონი, ასწავლიდა წერა-კითხვას მეზობელ გლეხებს, უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებს, თანამშრომლობდა რაიონულ ბიბლიოთეკასთან, მოაწყო სოფლის ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ საწყისებზე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დრამწრის მუშაობაში, იყო მუნჯი კინოების „გამხმოვანებელი“. ყოველივე ეს ბატონ ვიქტორს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ანიჭებდა უდიდეს სიამოვნებას.

ბატონი ვიქტორი 17 წლის ასაკში, წაღვერის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1941 წელს კვლავ უგამოცდოდ ჩაირიცხა ამიერკავკასიის რკინიგზების ინსტიტუტში, ხიდებისა და გვირაბების მშენებელ ინჟინერთა სპეციალობაზე.

სამამულო ომის დაწყებისთანავე გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და, მიუხედავად იმისა, რომ მას ინსტიტუტის ჯავშანი იცავდა, ფრონტზე წასვლისაგან, მოხალისედ გაემგზავრა. 1942 წელს დაიჭრა ქ.ტუაფსესთან და დემობილიზებული იქნა. მკურნალობის შემდეგ მუშაობას იწყებს მათემატიკის მასწავლებლად წაღვერის საშუალო სკოლაში.

ვიქტორ ჯაფიაშვილი 1945 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში ჩაუღრმავდა ასტრონომიულ ლიტერატურას, მოისმინა და მოხიბლა ბატონი ევგენი ხარაძისა და ქალბატონ ნინო მაღნარაძის ლექციებმა და ამან საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი.

იგი 1949 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ბატონ ევგენის წინადადებით, მეუღლითა და ორი ბავშვით მიდის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სამუშაოდ (ბატონ ვიქტორს ხშირად უთქვამს, თავიდან რომ მომიხდეს არჩევანის გაკეთება, კვლავ ასტრონომიულ მიმართულებას ავირჩევდიო).

1950 წლიდან მან პირველმა დაიწყო მთვარის შესწავლა ელექტროპოლარიმეტრული მეთოდით, 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მთვარის ზედაპირის აგებულების გამოკვლევა ელექტროპოლარიმეტრული გაზომვებით“, რომელიც 1957 წელს გამოსცა მონოგრაფიის სახით.

ვიქტორ ჯაფიაშვილმა 1982 წელს ა.კოროლთან ერთად, მსოფლიოში პირველმა გამოსცა „მთვარის პოლარიმეტრული ატლასი“ და მიენიჭა „ბრედიხინის სახელმწიფო პრემია“.

1988 წელს ვიქტორ ჯაფიაშვილმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შტენბერგის ასტრონომიულ ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (სამეცნიერო მოხსენების სახით) თემაზე: „მთვარის პოლარიმეტრული ატლასის შექმნა და მისი გამოყენება, მთვარის ზედაპირის ფიზიკური თვისებების შესასწავლად“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონ ვიქტორის ძირითადი სამეცნიერო შედეგები გამოყენებულია მრავალ მონოგრაფიებსა და სასწავლო ლიტერატურაში (ნ.ბარაბაშოვის, ვ.შარონოვის, ზ.კოპალისა და სხვათა შრომებში). ავტორს წაკითხული აქვს სამეცნიერო მოხსენებები აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე.

ობსერვატორიაში სამეცნიერო მიმართულებას, რომელსაც ბატონმა ვიქტორმა ჩაუყარა საფუძველი, – „ციური სხეულების შესწავლა ელექტროპოლარიმეტრული მეთოდით“, – ათამდე მეცნიერი აღიზარდა.

ბატონი ვიქტორის წასვლა ამ ქვეყნიდან უდიდესი დანაკლისია როგორც მეცნიერებისთვის, ასევე ოჯახის, ნათესავების, მეგობრების, მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეებისთვისაც.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები

მოგონებები ბატონ ვიქტორზე:

– „ბატონო ვიქტორ“! – ასე მოწიწებით ესალმებოდა მას ყველა, სტუდენტებიდან დაწყებული აკადემიკოსებამდე. ბავშვებისათვის კი იგი ვიქტორ პაპა იყო, ძალიან საყვარელი პაპა, საინტერესო კითხვებით, ერთ-ერთი ასეთი შეკითხვა ჰქონდა ბავშვებისადმი: რამდენი თითი მაქვს ერთ ხელზე, შემდეგ კი ორივე ხელზე ბავშვები პასუხობდნენ ხუთი, ათი. როცა ბატონი ვიქტორი მათ გაუშლიდა ორივე ხელს, ბავშვები გაკვირვებული რჩებოდნენ, მას ხომ თითი აკლდა მარჯვენა ხელზე, რომელიც ფრონტზე დაკარგა.

***

ბატონი ვიქტორი გავიცანი სტუდენტობის პერიოდში, იგი გვიკითხავდა „მზის სისტემის სხეულების ფიზიკას“. გამოცდაზე მივიღე შეფასება „კარგი. ამ ადამიანმა ლექციების კითხვის პროცესში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ თავს ვგრძნობდი უხერხულად და დამატებით გამოცდაზე კვლავ მივედი საგნის გადასაბარებლად. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ბატონი ვიქტორი ცოტა გაკვირვებული დარჩა ჩემი გადაწყვეტილებით, რადგან ჩემს ჩათვლის წიგნაკში ასეთი ქმედების აუცილებლობა ვერ ნახა. მიუხედავათ ამისა, როგორც შემდგომში გამოირკვა, სწორედ ჩემმა ამ ნაბიჯმა განსაზღვრა ჩემი მომავალი ცხოვრება. ბატონმა ვიქტორმა სტუდენტობის პერიოდში შემომთავაზა ე.წ. სტუდენტური პრაქტიკა გამევლო მასთან და ჩავბმულიყავი „მთვარის მიერ ვარსკვლავთ დაფარვების“ დაკვირვებებში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ორი წლით. ბატონი ვიქტორი რეგულარულად მწერდა წერილებს ამ პერიოდში, მთავაზობდა სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ჩავსულიყავი ობსერვატორიაში სამუშაოდ, კონკრეტულად, მასთან, „მთვარე - პლანეტების“ განყოფილებაში. ჩვენმა ამ ურთიერთ მიმოწერამ და ბატონი ვიქტორისადმი ჩემმა დიდმა პატივისცემამ, გადამანყვეტინა ჩავსულიყავი ობსერვატორიაში სამუშაოდ.

1974 წლიდან ბატონი ვიქტორი იყო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი საკანდიდატო დისერტაციის შესრულების პერიოდში და სამეცნიერო კონსულტანტი სადოქტორო დისერტაციის მომზადების დროს. იგი ბრძანდებოდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მზის სისტემის ობიექტების პოლარიმეტრული მეთოდით კვლევის მიმართულების დამფუძნებელი. მან მსოფლიოში პირველმა მთვარის ზედაპირის პოლარიმეტრული შესწავლისათვის გამოიყენა ელექტროპოლარიმეტრი – იმ დროისთვის ყველაზე ზუსტი ხელსაწყო. შემდგომში კი, ამავე ტიპის ხელსაწყოებით და მეთოდით, დანერგა დაკვირვებები მზის სისტემის სხვა სხეულებზე. ის ფაქტი, რომ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის პოლარიმეტრული სკოლა ექსპერიმენტალურ ნაწილში აღიარებულია მსოფლიოში საუკეთესოდ, რა თქმა უნდა, გახლავთ ბატონ ვიქტორის დამსახურება და მის სახელთანაა დაკავშირებული.

ბატონმა ვიქტორმა, ა.კოროლთან ერთად, მსოფლიოში პირველებმა შექმნეს მთვარის პოლარიმეტრული ატლასი, რისთვისაც მიიღეს ასტრონომიაში ერთ-ერთი პრესტიჟული „ბრედიხინის სახელობის სახელმწიფო პრემია“ .

***

ბატონი ვიქტორი და მე სამეცნიერო მივლინებებზე ხშირად ერთად დავდიოდით. ერთ-ერთი მივლინების დროს, მოსკოვში გავიგეთ, რომ ქირურგიის ინსტიტუტში აკეთებენ სხვადასხვა ორგანოების გადანერგვას. ბატონმა ვიქტორმა მოისურვა თითის ოპერაცია, რომელიც მან დაკარგა ომში. მივედით ამ ინსტიტუტში, დაველაპარაკეთ ქირურგ-პროფესორს, რომელმაც გვითხრა, რომ ხელოვნური თითი, ნამდვილის მსგავსად იმუშავებდა. ეს ამბავი ძალზე გაუხარდა ბატონ ვიქტორს. დაგვინიშნეს ოპერაციის დღეც. მანამდე კი სხვადასხვა სახის ანალიზები აიღეს. ოპერაციის დაწყების წინ რამდენიმე ნემსიც გაუკეთეს და როცა უნდა გაეყვანათ საოპერაციო ბლოკში, პროფესორს უნებლიედ ვკითხე – ეჩვენებინა ჩემთვის ის ხელოვნური თითი, რომლის გადანერგვასაც აპირებდა. მან აგვიხნა, რომ მას არანაირი ხელოვნური თითი არ აქვს, ის აპირებს ფეხიდან დიდი თითის მოჭრას და მის გადანერგვას ხელზე. ამაზე ბატონი ვიქტორი ძალიან განაწყენდა და მითხრა: ოთარ, წავიდეთ აქედან, ერთი ამ....თი...

და ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოვისმინე ვიქტორის შეგინება, – „ხელით ინვალიდი ხომ ვარ და ამას უნდა ფეხითაც ინვალიდი დამტოვოსო“. ამის შემდეგ ბატონი ვიქტორი ხშირად იხსენებდა, როგორ გადავარჩინე იგი ორმაგ ინვალიდობას.

ოთარ კვარაცხელია,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

***

– „მოგონება გახსენებაა, წარსულში დაბრუნებაა, განცდილის განახლებული სითამამეა გონებისა და გრძნობის ჭიდილში. იგი ვნებათა ღელვის მეცხრე ტალღის მიგნებაა, მეცხრე ცაზე გასვლის მოლოდინში. მოგონება შინაგანი განწყობის შესაბამისად, გრძნობებში მონატრებულის დამკვიდრებაა...

მოგონება მხოლოდ ფაქტების ჩამონათვალით იმ სადღეგრძელოს დაემგვანება, რომელიც ხშირად ითქმება გააზრების მოლოდინში, არა გულის, არამედ გარემოების კარნახით“.

ასე იწყებდა წერილს, რომელიც გამოაგზავნა სამხრეთ ამერიკაში ჩემი წერილის საპასუხოდ, რომელიც ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას ეხებოდა. რაც დამაწერინა უცხოეთში, ექსპედიციის პირობებში ხანგრძლივი მივლინებით გამოწვეულმა მონატრებამ.

მოგონებისა და განცდილის მკითხველამდე მიტანა, შინაგანი განცდის გასხვისება და „შენადკუთვნილის“ სააშკარაოზე გამოტანა პასუხისმგებლობაა მკითხველის წინაშე, რადგან მას თან უნდა ახლდეს გონებისეული მიგნება ფაქტის შეფასებისა. მოგონების გაზიარების პასუხისმგებლობას ხშირად თავის თავზე იღებდა ჩვენი უფროსი მეგობარი გიორგი გიორგობიანი, რომელიც გამოირჩეოდა ქართული ენისადმი უბადლო თაყვანისცემით.

– „ჩემი ასპირანტი“, – ასე იწყებდა ბატონი ვიქტორი, მისი ხელმძღვანელობით მომუშავე თანამშრომლების ქებას თუ საყვედურს. ასე, რომ, საყვედურსაც და ქებასაც თანაბრად ვინაწილებდით მთვარე-პლანეტის შემსწავლელი განყოფილების წევრები. გვიხსნიდა და გვიზიარებდა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომ მხოლოდ ჩვევები და ემოციები არ ყოფილიყო გადამწყვეტი ყოფით ურთიერთობებში, მოსალოდნელი სიძნელეების გადალახვისას. „აქ საუბარია ქცევათა ურთიერთობებზე და არა საქმეზე, საქმე პირნათლად უნდა სრულდებოდეს“, ეს მისი სიტყვები, სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას.

ხშირად ბატონი ვიქტორის კაბინეტში დაწყებული კამათი, მსჯელობის სახით გრძელდებოდა ოჯახში, ქალბატონი დარეჯანის სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე. სამართლიანობით გამორჩეული ქალბატონი დარეჯანი, ყოველთვის ასპირანტების საქციელს ამართლებდა და, როგორც წესი, იმართებოდა დიალოგი:

– „როგორ ჩემი ასპირანტებივით მეუბნები“;

– „აბა, თქვენა ხართ მართალი და არა ჩვენ?...“

– „ჯობდა სხვა საკითხებზე გქონოდათ აზრთა ერთიანობა“.

– „ისე სწორი ხარ, ვიკა (ვიკას ეძახდა მეუღლე ვიქტორს), გაიხსენე სამხრეთ ამერიკიდან გამოგზავნილი შენი ასპირანტის ბარათის შინაარსი, შეგირდისა და ოსტატის ურთიერთობაზე, რომელსაც ახლაც კი ცრემლნარევი სიხარულით ვკითხულობ ხოლმე“.

ძალიან დიდია ბატონ ვიქტორთან დაკავშირებული მოგონებებისა და გახსენებების ჯაჭვი.

და, ახლა, როცა მან დაიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი, ამ ჯაჭვის როგორ ძალიან მყარი გახდა, მყარი, რომელიც არ წყდება.

ლორანდ სიგუა,
საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

***

სამი ათეული წლის განმავლობაში, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერ-აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან მჭიდრო ურთიერთობა მაკავშირებდა, მან არ იცოდა გადაჭარბებული საუბარი თანამშრომლებზე (ან ყოფილ თანამშრომლებზე).

ბატონი ვიქტორი 52 წლის განმავლობაში იყო ბატონი ევგენის თამშრომელი (აქედან 35 წელი მისი მოადგილე სამეცნიერო დარგში). მათი ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ ბატონ ევგენის არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბატონი ვიქტორი „უღალატო“ კაცია (ასეთი შეფასება მე არ მომისმენია ბატონი ევგენისგან სხვა თანამშრომლების მისამართით!).

***

როცა ბატონ ევგენიზე მოგონებათა წიგნს ვწერდი, ბატონი ვიქტორი, როგორც ამ წიგნის რედაქტორი, ათასგვარ ლექსიკონებს იშველიებდა, რომ რაიმე სტილისტური, ან სხვა სახის შეცდომა არ გაპარულიყო და ამით ბატონი ევგენის ნათელი სულისათვის ჩრდილი არ მიგვეყენებინა – ამით იგი გამოხატავდა უდიდეს სიყვარულს ბატონი ევგენის მიმართ.

***

ბოლო წლებში ბატონ ვიქტორთან მიყვარდა მისვლა ბინაზე (თავს ვალდებულად ვთვლიდი ასე მოვქცეულიყავი). ბევრჯერ დავაპირე მისთვის ფინანსური დახმარება გამეწია, მაგრამ არასდროს არ მომცა ამის საშუალება. ბოლოს, 2015 წლის 9 მაისი მივულოცე, როგორც სამამულო ომის ვეტერანს. როცა დამშვიდობების დრო დადგა, მიამბო სურვილის შესრულების შესახებ (ეტყობა გრძნობდა მოახლოებული ამქვეყნიური ცხოვრების აღსასრულს!):

– რეზო, – მე როცა გარდავიცვლები, ჩემი მეუღლის გვერდით დამასაფლავეთ, თბილისში (მისი მეუღლე – დარეჯანი, თბილისში იყო დასაფლავებული). ჩემი დიდი სურვილია გული ამომჭრად და დედაჩემისა და მამაჩემის საფლავებს შორის მოათავსოთო (გულისხმობდა ბორჯომის ულამაზესი სოფლის – დაბის სასაფლაოს, სადაც განისვენებენ ბატონი ვიქტორის მშობლები).

ეს სურვილი ბატონ ვიქტორს პირნათლად შევუსრულეთ.

რევაზ ჭიღლაძე,
ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

***

ვიქტორ ჯაფიაშვილი, ქართული ასტრონომიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამორჩეული მეცნიერ-მკვლევარი, პედაგოგი, თავისი შეგნებული მოღვაწეობით და ცხოვრებისეული სიხალისით, დიდ სიხარულს ანიჭებდა ყველას, ვინც მას ეკონტაქტებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ვიქტორი არის მთვარის კვლევის ფუძემდებელი ქართულ მეცნიერულ სინამდვილეში. ძნელად თუ მოიძებნება პიროვნება, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა ამ შესანიშნავ პიროვნებასთან და უმალვე არ მოხიბლულიყო მისით. იგი, ამავდროულად, დიდი ერუდიციითა და უზადო იუმორითაც გამოირჩეოდა. ყოველთვის აქტიური იყო თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე. სტუდენტობის პერიოდში მოხალისედ წავიდა მეორე მსოფლიო ომში, რომელიც თავდადებული ბრძოლებით გამოიარა, უნივერსიტეტი დაამთავრა ასტრონომიის სპეციალობით. ქართველი ასტრონომების ამ თაობამ იმთავითვე მიიქცია აკადემიკოს ე.ხარაძის ყურადღება და ისინი, თითქმის უკლებრივ, მიიწვია სამუშაოდ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. ამ თაობიდან ამჟამად ჩვენს გვერდით მოღვაწეობს ბრწყინვალე მეცნიერი რომან ძიგვაშვილი, რომელიც ყოველთვის აღნიშნავს, რომ ომიდან დაბრუნების შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მომენტში, მისი ასტრონომიულ ჯგუფში მოხვედრა განაპირობა ვიქტორ ჯაფიაშვილის პიროვნულმა მომხიბვლელობამ.

ჩემმა ერთ-ერთმა პეტერბურგელმა კოლეგამ, ვიქტორ ჯაფიაშვილის თაობის ასტრონომები მოიხსენია, როგორც მეცნიერების რაინდები. ბატონმა ვიქტორმა ეს ეპითეტი ჭეშმარიტად გაამართლა თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით.

იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ასტრონომების ახალი თაობების აღზრდისა და მათი ცოდნის დონის ამაღლებისათვის. სწორედ ეს ახალგაზრდობა ეწევა დღეს ნაყოფიერ კვლევებს ასტრონომიის თითქმის ყველა სფეროში.

გიორგი მალასიძე,
ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

***

ბატონი ვიქტორის შინაგანი ვაჟკაცური ბუნება იყო საფუძველი მისეული განსაკუთრებული თვისებებისა, რომლებიც უხვად გააჩნდა და უაღრესად მიმზიდველს ხდიდა მასთან ურთიერთობას. იგი გახლდათ ჭეშმარიტების დიდი მეგობარი, მისთვის მებრძოლი და ყოველგვარი დოგმის შეურიგებელი მონინააღმდეგე, კოლეგების ნარმატებებით მოხარული ჭეშმარიტი ასტრონომი. ნიშანდობლივია მისი პრინციპული, მაგრამ უკომფლიქტო ხასიათი, რაც ყველა ასაკის, პროფესიის თუ შეხედულების ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდებოდა. „მასწავლებელის“ კეთილშობილური სიტყვა, თავისი ბრწყინვალე მნიშვნელობით, ზედმიწევნით მიესადაგებოდა ბატონი ვიქტორის პიროვნებას. მისგან უამრავი რამ შეგეძლო გესწავლა. ამიტომ ბატონი ვიქტორის „შეგირდობა“ დიდი პატივი იყო, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ასტრონომებისთვის. იგი აღმზრდელია არა მარტო, უშუალოდ, თავისი სტუდენტების, ასპირანტებისა და დოქტორანტების, არამედ, ყოველი იმ კოლეგისა და ახლობლისა, რომელთაც ურთიერთობა ჰქონიათ ბატონ ვიქტორთან.

რეზო ნაცვლიშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

„ქება ძნელია, კიცხვა იოლი, მკაცრი მსაჯულიც ხშირად გვაღონებს; რამდენი დიდი კანონმდებელიც შეურაცხყოფდა ქვეყნის კანონებს“.

ადამ მიცკევიჩი

„მე გამოვიკვებე ჩემი ოჯახი დედის წმინდა ძძით“

◀ დასაწყისი გვ. 9

თა დაცვის სამსახურს ვხელმძღვანელობ და თანამდებობრივად ვალდებული ვარ განვავითარო მოსახლეობაში კულტურის დონე. ყველამ იცით, „ვაჰან ტერიანის პოეზიის დღის“ შესახებ. თქვენც, არაერთხელ მიგიღიათ მონაწილეობა ამ დღესასწაულში, სიტყვითაც გამოსულხართ. ეს დღესასწაული შესანიშნავი ტრიბუნაა ჩვენი, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების გასაღრმავებლად. გავიხსენოთ, როგორ კარგად ჟღერდა ჰოვჰანეს კარაიანისეული (ასევე ვ.ტერიანისეული) „ვეფხისტყაოსნისა“ და ჩვენი თანამემამულე პოეტის ქმნილების ზეზვა მედულაშვილისეული თარგმანები. ყველა დღესასწაულზე ნამდვილი ნეტარებაა ქართველ მწერალთა გამოსვლები: დიახ, კარგია საიათნოვას „ვარდატონი“, ჯივანის და ჰავასის, ვიქტორ ჰოვსეფიანის დღეები, რომლის დროსაც იკრიბება ხალხი მთელი საქართველოდან და, ასევე, სომხეთიდან. 2000 წელს ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნის-ხაჩენში დავადგინეთ სომეხი კლასიკოსი მწერლის ღაზაროს აღაიანის დღე, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოში გაატარა და დაკრძალულია ხოჯივანქის პანთეონში.

დღესასწაულები კარგია, მაგრამ ბევრი პრობლემა გვაქვს რაიონის საბიბლიოთეკო სისტემაში. არსებული ლიტერატურა მოძველებულია, შევსება კი – უმნიშვნელო. ბიბლიოთეკარების ხელფასები ძალიან დაბალია, ცუდია ბიბლიოთეკების შენობების მდგომარეობაც. თუ კულტურის სახლები და კლუბები აღმავლობას განიცდიან, ბიბლიოთეკები – არა. ძალიან დაბალია მკითხველთა რაოდენობაც. ერთი პრობლემაა, რომლის გადაჭრაც დღის წესრიგშია: – ვერც ინტერნეტი და ვერც ელექტრონული ბიბლიოთეკა ვერ შეცვლის ცოცხალ წიგნს, ამიტომ ყველამ უნდა ვიფიქროთ ისევ და ისევ ბიბლიოთეკების გავითარებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

– დაბოლოს: გულახდილად გვითხარით, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოდან გრძნობთ თუ არა საკმაო მხარდაჭერას, რითაც შესაძლებელი იქნება მუშაობის მაქსიმალურად გაუმჯობესება?

– ბატონო ავთანდილ, შენ კარგად მიცნობ, მე ცოტა მაქსიმალისტიც ვარ. თუ საქმეს ვაკეთებ, მხოლოდ ხარისხიანად. უღიმღამობა და უღიმღამონი არ მიყვარს. გეტყვით, რომ ბევრი ადამიანი უკეთესი ცხოვრებისთვის ტოვებს სამშობლოს და გადადის სხვა ქვეყნებში. არაფრის ფასად არ დავტოვებ ჩემს სამშობლოს, მე აქ უფრო ვჭირდები თანამემამულეებსა და კულტურის მოყვარულებს, დღეს დედაქალაქებში დაიწყო გლობალიზაციის პროცესი, ღმერთმა იცის, სად წავალთ და სად ვიქნებით, ვთქვათ, 50 წლის შემდეგ. საინტერესოა, როგორი იქნება ჩვენი სომხურ-ქართული საუკუნოვანი ცივილიზაცია? ჩვენი უკვდავი ლიტერატურა? ტრადიციები? ეროვნული თვისებები? ჩვენი ენები?

ეს, უპირველესად, ჩვენი ინტელიგენციის საზრუნავია! პირადად, მოხარული ვარ, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული არცერთი ყურადსაღები ინიციატივის უგულვებელყოფა არ ხდება როგორც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ასევე ქვეყნის, ჩვენი ხელისუფლების მხრიდანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე დავტოვებ ჩემს კალამს....

– გმადლობთ, ბატონო ჟორა გულახდილი საუბრისათვის. იმედია, თქვენი შემოქმედების გაცნობის საშუალება კიდევ ექნება ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ ბერიძე

ხალხური ჭიდეზია

***

ბატონი ყველას
წელსა სწყვეტს,
უვარგისსა და გვარიანს,
თითო-თითოდ შეიწყნარებს
ბეგრიანსა და ღალიანს.

საძირკვლად ვერცხლის
ფულს ჩავყრი,
ნავაჭრსა ტყისა ხისასა,
კარაპანს ამოვუშენებ,
ნათალსა მუხის ხისასა!

***

ოცხეს ხევო, ღრმა და
ბნელო,
გაუვალო, ხშირო ტყეო,
ყაჩაღთათვის თავსაფარო,
მოკეთისთვის სამოთხეო.

***

ბიჭო, ტეტიავ, წყეულო,
გინდა ვარხნელო გოგია,
სხვებს ნუ არიგებთ ჭკუასა, –
ესაა დემაგოგია!

***

მესხურ ოდას წამოვჭიმავ,
კლდეფიცარასი ქვისასა,
ხორბალსა ფერ-მადლიანსა
რად უნდა დახედულობა,
კარგი ტაროსი ინდომეთ
ნამგლისა ალესულობა.

***

ნუ გამწირავ გულისსწორო,
რით ვუშველო ჩემსა თავსა,
ხეზე გავალ აკაციის
და იქ ჩამოვიხრჩობ თავსა,
ან დიდ წყალში ჩავვარდები,
ნაჩლიქარსა ხარისასა.

***

ხმალმა თქვა: ომი ვერ
დამღლის,
პატრონი მყავდეს ფხიანი,
მალ-მალე შემოუძახოს,
ლაშქრული ომახიანი!

***

ალალ-მაქო, დალალ-მაქო,
შუა სერზედ ბაღჩა მაქო,
გავათხვიამ, გოგოს მივცემ,
შინ თუ დამრჩა, ვინღამ
აქოს?

მთქმელი გიორგი (გოგი)
აგულაძე, ადიგენი, სოფ.
უდე, 78 წლის. ჩაიწერა
სოსო გიძოშვილმა 2015
წელს

მესხური ნანა

დან, დან, დან, დან გოგოსა,
გავათხოვამთ გოგოსა,
მზითვებს მივცემთ გოგოსა,
ცხრა ოქროს ღილს, ათ
დერიღილს;
მოთაგლულ უხუნს
ჩავაცვამთ,
ზეიდან მწვანე კერმუხტსა,
ყუთნის ზუბუნს
შევუკერამთ,
ზედ დავუდგამთ
ჩაფრასტებსა,
უფაში წინ წავიძღვანებთ,
ოხაი, ოხა შენ გაზდასა.

ხალხური

მოგვაწოდა **ნომადი**
ბართაიამ, *2015 წელს*

ჰეტრეს სარდაფი

ღაჟაჯბული ბაზეთები

კომუნისტების დროს ყველა ოჯახს იძულებით აწერინებდნენ ჟურნალ-გაზეთებს. ჩვენი სოფელი რადგან მოსახლეობის მხრივ დიდი იყო, სამი-ოთხი ფოსტალიონი ემსახურებოდა. მართალია ყველა ოჯახი იღებდა ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ ბევრი არც კი კითხულობდა იმ მიზეზით, სიმართლე არაფერი წერიაო, თანაც, ორი კაპიკი ღირდა.

სოფელში საღი აზრის ადამიანებიც ბევრნი იყვნენ, რომლებიც არც ერთ ნომერს არ ტოვებდნენ წაუკითხავს. რომელიმე ახალი ნომერი რომ დაჰკარგოდათ, ფოსტალიონის მიმართ დიდ საყვედურსაც გამოსთქვამდნენ და შესაბამის ორგანოებსაც ატყობინებდნენ.

სოფელში იყო ერთი მასწავლებელი, რომელმაც, ერთხანს, უკმაყოფილება გამოთქვა დაკარგულ გაზეთებზე. ფოსტალიონი ირწმუნებოდა, – მომქონდა და შენი ეზოს ხის ღობეში ვარჭობდი, სულ ასე ვაკეთებდი და რაღა ახლა იკარგებაო.

ბევრი დავის შემდეგ, გადაწყვიტეს, დადარაჯებოდნენ „ქურდს“ და ფოსტალიონმა ერთ დღესაც „გამოიჭირა“ იგი.

სოფელში ბევრს ჰყავდა სახედარი და საქონელთან ერთად საბალახოდ მინდორში უშვებდნენ. უპატრონოდ მიტოვებული პირუტყვი სოფლის ორღობეებში დაეხეტებოდა. დაჩვეულმა სახედარმა ჩამოუარა მომჩივანი მასწავლებლის ღობეს და... სწორედ მის გაზეთებს მიეტანა შესაჭმელად. ასე იპოვეს გაზეთების ქურდი.

ანტონ ბალახაშვილი,
სოფელი უდე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com